ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცკ-ის. და ტფ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო
ტელეფონები: №№ რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის— 23—17, ხამდივნოს— 10—58, მთ. კანტორის—8—81.

შაბათი, 16 დეკემბერი 1933 წ. № 288 (3844)

ტფილისის XV საქალაქო პარტკონფერენციის მოწვევის შესახებ

საქ. კ. პ. (ბ) ტ. კ-ის 1933 წ. 15 დეკ. დადგენილება

ტფილისის XV საქალაქო პარტკონფერენცია მოწვეულ იქნეს 1934 წლის 5 იანვარს შემდეგი დღის წესრიგით:

1. საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის ანგარიში—მომხსენებელი ამხ. წითლიძე.
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში—მომხსენებელი ამხ. ქაცარავა.
3. ტფილისის კომუნალური მეურნეობის მდგომარეობისა და 1934 წლის გეგმის შესახებ—მომხსენებელი ამხ. ნოვიკოვი.
4. ხელმძღვანელი პარტორგანოების და საქ. კ. პ. (ბ) მე-9 ყრილობაზე დელეგატების არჩევნები.

დაწესებულ იქნეს კონფერენციაზე წარმომადგენლობის შემდეგი ნორმები:

1 დელეგატი გადამწყვეტი ხმით პარტიის 40 წევრზე და 1 დელეგატი სათათბირო ხმით პარტიის წევრობის 60 კანდიდატზე.

საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის მდივანი **წითლიძე.**

ლეიპციგის პროცესის სასკანდალო დასასრული

ლეიპციგის სასამართლო კომედია დასასრულს უახლოვდება. თითქმის სამი თვეა ეს უმაგალითო სანახაობა, თავის დაძვრენას მოწადინებულ ფაშისტ ცეცხლწამკიდებელთა საზიზღარი და უბადრუკი სანახაობა მთელ მსოფლიოს თვალწინ იყო გადაშლილი.

საეჭვოა, უკანასკნელი წლების პოლიტიკური პროცესების ისტორია იცნობდეს რევოლუციური სიმტკიცის და თავისი კლასისადმი უსაზღვრო თავდადების ისეთ მაგალითს, როგორიც გვიჩვენეს დიმიტროვმა და მისმა სამმა ამხანაგმა. მათი სამი თვის ბრძოლას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს და სწორედ იგი ბევრი მხრივ გვიხსნის, თუ, ბოლოსდაბოლოს, რატომ გახდნენ ფაშისტები იძულებული თავისი პროკურორების პირით მთელ მსოფლიოს წინაშე ფაქტიურად ეღიარებინათ, რომ ლეიპციგის პროცესი გაბატონებული კლასების სისაძაგლე იყო.

რაც უფრო ჭიანურდებოდა პროცესი, მით უფრო გამოუვალი ხდებოდა მისი სულისჩამდგმელების მდგომარეობა. რაც უფრო გადიოდა დრო, მით უფრო ცხადი ხდებოდა მათი პირდაპირი პასუხისმგებლობა ცეცხლწაკიდებისათვის, მით უფრო ნათელი ხდებოდა ის მიზნები, რომლებსაც ისინი 27 თებერვლის პროვოკაციის მოწყობით ისახავდნენ. სასამართლომ ვერ წარმოადგინა ვერც ერთი დამამტკიცებელი საბუთი, რომელიც ფაშისტ - ცეცხლწამკიდებლებს გაამართლებდა. მაგრამ სამაგიეროდ პროცესზე დაგროვდა ურიცხვი დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც ფაშისტურ იუსტიციას ამხილებენ იმაში, რომ ყველა მისი ნაბიჯი სხვა არა არის რა, თუ არ გრანდიოზული სიყალბე. გასამართლება სამ თვეს გრძელდებოდა. დაკითხულია მრავალი ათეული მოწმე. თავისი სიტყვები წარმოთქვეს პროკურორმა და მისმა თანაშემწემ. მაგრამ სადღაა საბრალმდებლო აქტი? რატომ არ იხილა მან მზის სინათლე? ეს იმდენად უხეშად შედგენილი ყალბი დოკუმენტია, რომ მისი გამოქვეყნება ვერ გაბედეს. მაგრამ საბრალმდებლო აქტი არსებობს. და იგი კარგად არის ცნობილი. იგი უადრესად ფართოდ გავრცელდა მთელს მსოფლიოში, მისი ფაქტები ურიცხვია, მისი დამამტკიცებელი საბუთები არავის მიერ და არაფრით არ არის გაბათილებული, ეს საბრალმდებლო აქტი „მიხაკისფერი წიგნია“.

შეეცადნენ მისთვის გვერდი აევლოთ. მაგრამ იგი მილიონებმა ზევით აუფრიალეს. ყოველი მისი ფურცელი მახვილივით მჭრელია, ხოლო მთლიანად იგი იძლევა ფაშისტური რეჟიმის, მისი მეთოდების, მის მიზნების, რეიხსტაგისათვის ცეცხლწაკიდებაში კონკრეტულ დამნაშავეების, ამის შემდეგ ჩხრეკა - აწიოკების, რეპრესიების, და მასობრივი მკვლელობის გაშლილი ტალღის მკაფიო და ნათელ სურათს.. „მიხაკისფერი წიგნისაგან“ პროცესზე გულის ცახცახით თავს იცავდნენ ფაშისტთა წარჩინებული მოხელეები, მისგან თავგამოდებით იცავდა ბ-ნი ვერნერი მთელ ფაშისტურ რეჟიმს.

ცუდად იცავდა, უბადრუკად, ხულიგნურად და სასაცილოდ: „მიხაკისფერმა წიგნმა“ თავის შესახებ მთელი ქვეყნიერება ალაპარაკა. ის, ვერნერი, „მიხაკისფერ წიგნს“ „გაბათილებულად“ თვლის. ვის მიერ? რით? ამაზე ბ-ნი პროკურორი პასუხს არ იძლევა. ის საერთოდ ამჯობინებს დამამტკიცებელი საბუთები არ მოიყვანოს. ასეთსავე ტექნიკას ადგია მისი თანაშემწე პარიზიუსიც. ამ ვაჟბატონებმა 12 საათს მაინც ილაპარაკეს, მაგრამ თუ გავერკვევით ლიტონ მტკიცებათა, თავის დაძვრენის უბადრუკ ხერხთა და არგუმენტთა ამ ნაკადში,—აღმოჩნდება, რომ ჩვენს წინაა ათასი და ერთი ღამის უნიჭო ზღაპრების ფაშისტური გამოცემა. შექსპირის ერთერთ პერსონაჟს, უეჭველია, მხედველობაში ჰყავდა ლეიპციგის პროკურორი, როცა ამბობდა: „სამსჯავროებში განა აღმოჩნდება თუნდაც ერთი სამარცხვინო ჭუჭყიანი საქმე, რომელშიაც სახრამოვნო ხმით არ შეიძლებოდეს მთელი აშკარა სისაძაგლის მიჩქმალვა?“.

მაგრამ ბ-ნმა ვერნერმა ეს როლიც კი ვერ შეასრულა. რა უნდა ექნათ პროკურორებს — ნამდვილი ცეცხლწამკიდებლების ამ დამცველებს — მას შემდეგ, რაც სამი თვის განმავლობაში ფაშისტ-მსაჯულებმა ოდნავადაც ვერ მოახერხეს თავისი ბატონ-პატრონების გათეთრება. ვერნერიც, პარიზიუსიც ცდილობდნენ — თუმცა წარმატება სრულიად უიმედო საქმე იყო,—დაესაბუთებინათ თეზისი, რომ ვან-დერ-ლუბე კომუნისტია, რომ მან რეიხსტაგს ცეცხლი იმისათვის წაუკიდა, რომ „მიეცა აჯანყების სიგნალი“. ძველებური პოლიციური ზღაპარია. ისმება კითხვა: რატომ არ გამოეხმაურნენ ამ სიგნალს? იმიტომ,—უპასუხებს ბრძნულად პროკურორი ვერნერი,—რომ „ადგილებს“ არ მიუღიათ დირექტივები აჯანყების შესახებ, ხოლო დირექტივები არ მიუღიათ იმიტომ, რომ დაპატიმრებულ იქნენ შიკრიკები, რომელთაც ეს დირექტივები ადგილებისათვის უნდა მიეწოდებინათ, და, ამგვარად, თუმცა სიგნალი მიცემულ იქნა, მაგრამ ამას აჯანყება არ მოჰყვა. ეს—ბრალმდებელი მხარის ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტია. მაგრამ უცნაურია: თუ შიკრიკები დააპატიმრეს, ვინ არიან ისინი? როდის დააპატიმრეს? სად? რა დირექტივები აღმოაჩნდათ მათ? სად იმყოფებიან ისინი ამჟამად? რატომ არ მოჰყავს ისინი ბატონ ვერნერს? როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ ეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები სასამართლოს საქმეებში არ მოიპოვება? და სადღა არიან ეს შიკრიკები? რატომ არ დაკითხავენ მათ?

რა შეუძლია პროკურორს ამ კითხვებზე უპასუხოს?—არაფერი. ასეთ კითხვებს ფაშისტური სასამართლო მთელი ძალღონით გაურბოდა და სწორედ ამიტომ იგი მრავალჯერ აძევებდა დიმიტროვს, უარყოფდა ყველა მის მოთხოვნას და შეკითხვას, ვინაიდან ლეიპციგის მსაჯულები ყველაზე მეტად გაურბოდნენ იმას, რომ მას პირდაპირ არ დაედასტურებინა „მიხაკისფერი წიგნის“ მასალები. მაგრამ მსაჯულებმა საკმაოდ ბევრი რამ, თუ ყველაფერი არა, პირდაპირ და არაპირდაპირ დაადასტურეს.

ამხ. დიმიტროვმა უკვე საკმაოდ დაწვრილებით დაამტკიცა იმ ფაშისტური ვერსიის სიცრუე, რომ კომპარტია თებერვალში შეიარაღებულ აჯანყებას ამზადებდა, მაგრამ ბრალმდებელი მხარე ამ პუნქტზე ხელს ვერ აიღებს, ვინაიდან მაშინ პირდაპირ უნდა თქვან, რომ მთელი პროცესი თავიდან ბოლომდე სიყალბეზეა დამყარებული.

ბრალმდებელი მხარე ვერ ხედავს დაიცვას სასკანდალოდ ჩაფლავებული თეზისი იმის შესახებ, რომ გერმანიის კომპარტიას უშუალო დამოკიდებულება ჰქონდეს რეიხსტაგისათვის ცეცხლწაკიდებასთან. ამიტომ მას სხვა არაფერი დარჩენია, თუ არა ის, რომ „კომპარტიას პოლიტიკური პასუხისმგებლობა“ დააკისროს. ამასთან ბ-ნი ვერნერი ემყარება „სანდო“ მოწმეებს. მაგრამ ვინ არიან ბრალმდებელი მხარის ეს მოწმეები, რომელნიც, პროკურორების სიტყვით, „ნდობის ღირსი“ არიან? პროცესზე იყვნენ თითქმის მარტო ისეთი მოწმეები, რომელნიც ბრალმდებელი მხარისათვის საჭირო ჩვენებებს იძლეოდნენ. მსოფლიო პრესის არასრული, დანაკუწებული, ცნობებით, შეიძლება მივიღოთ წარმოდგენა მსაჯულების და პროკურორების ამ „დასაყრდენსა და იმედზე“.

ბრალმდებელი მხარის მოწმეთა შორის არიან: 20 პოლიციელი — სამყურბრო პოლიციიდან, სისხლის სამართლის პოლიციიდან, პოლიციის კომისრები, ინსპექტორები, 6 პროვოკატორი, 2 ჯაშუში, 2 ქურდი (ყველა ისინი ამხილეს პროცესზე დიმიტროვმა და სხვა ბრალდებულმა კომუნისტებმა); 8 სახელმწიფო მოხელე, რომელთა შორის არის გერინგის სახლის კომენდანტი; 8 ფაშისტი დეპუტატი, 7 ფაშისტი-აქტივისტი, 1 ჭკუაშეშლილი, ბოლოს, გერინგი და გებელსი.

ვიმეორებთ, ეს სრული სია არ არის, მაგრამ ესეც სავსებით საკმარისია, სწორედ ამ მოწმეთა ჩვენებებზეა დაფუძნებული სიცრუის მთელი შენობა, რომელიც ვერნერმა და პარიზიუსმა დაამთავრეს. თუ რამდენად აშკარად ცრუობდნენ ეს მოწმეები, პროცესზე, ამას ის ფაქტი გვიჩვენებს, რომ პროკურორი, რომელიც მათ ჩვენებებს ეყრდნობოდა, მაინც იძულებული იყო ხელი აეღო ბულგარელი ამხანაგების წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებაზე. ამავე დროს კი მრავალმა ათეულმა მოწმემ „თავისი (!) საკუთარი (!) თვალით ნახა დიმიტროვი, ტორგლერი, ტანევი და პოპოვი. ხან ვან-დერ-ლუბესთან ერთად, ხან კი თითქმის რეიხსტაგის შენობაში მისთვის ცეცხლწაკიდების დროს“.

ყურადღების ღირსია ისიც, თუ რა გულმოდგინებით ამტკიცებდა პარიზიუსი იმის საწინააღმდეგოს, რასაც საიდუმლო საბრალმდებლო აქტი ამბობს. როგორც ცნობილია, უკანასკნელი ამტკიცებს, რომ ვან-დერ-ლუბემ რეიხსტაგს მარტომ წაუკიდა ცეცხლი. მანამდე კი ფაშისტები ამტკიცებდნენ, რომ ვან-დერ-ლუბეს თანამონაწილეები ჰყავდა. ეს იყო გასამართლებამდე, კომპარტიის წინააღმდეგ გაშურებული ტერორის დროს. როცა გასამართლება დაიწყო, გამოაცხადეს, ვან-დერ-ლუბემ რეიხსტაგს მარტომ წაუკიდა ცეცხლიო. მას შემდეგ, რაც ფაშისტური ტერორის მსხვერპლთა დაცვის საერთაშორისო კომიტეტის მეცადინეობით საბრალმდებლო აქტი გამოქვეყნდა, ფაშისტ-მსაჯულებისათვის ცხადი გახდა, რომ შეუძლებელია იმ თეზისის დაცვა, რომ რეიხსტაგისათვის მარტო ერთ კაცს წაეკიდებინოს ცეცხლი. და პროკურორმა პარიზიუსმა ძნელი ამოცანა იკისრა, როცა მას, ზევიდან კარნახის მიხედვით, უნდა მოეხდინა მორიგი შემობრუნება 180 გრადუსით და დაეცვა თეზისი, რომ ვან-დერ-ლუბე მარტო არ მოქმედებდა.

პარიზიუსი 6 საათს ლაპარაკობდა, მაგრამ ის ერთი წუთითაც კი არ შეხებია ვან-დერ-ლუბეს ნამდვილ თანამონაწილეებს. ვან-დერ-ლუბე რომ მარტო არ მოქმედებდა, ეს ყველასათვის ცნობილია. ცნობილია აგრეთვე, თუ ვინ არიან მისი თანამონაწილენი, „მიხაკისფერი წიგნი“ ასახელებს პირებს და ვრცლად აგვიწერს სწორედ იმ მიწისქვეშა სავალს, სადაც თავს იყრის ამ გრანდიოზული ფაშისტური პროვოკაციის ყველა ძაფი.

მაგრამ პროკურორ პარიზიუსს, ბუნებრივია, არ შეუძლია ნამდვილი თანამონაწილენი დაასახელოს, და აი ირკვევა, რომ უზარმაზარი ფაშისტური სახელმწიფო მანქანა, საიდუმლო და საჯარო პოლიცია, მოიერიშეთა რაზმები — ჯაშუშობის უფართოესი ქსელი,—ყველა ეს საშუალება უმწეო აღმოჩნდა, მათ ვერ შესძლეს თანამონაწილეების გამოაშკარავება. რა სულელური სიცრუეა! რა უნიჭო ზღაპრებია! თანამონაწილეები აღმოჩენილი არ არიან იმიტომ, რომ საჭირო გახდებოდა პირდაპირ დაესვათ ფაშისტთა ბელადები საბრალმდებლო სკამზე, პარიზიუსის სიტყვა ამას ადასტურებს.

გასამართლების უკანასკნელი ეტაპის პირველივე ორი დღე საბოლოოდ ამხილებს ფაშისტ-ცეცხლწამკიდებელთ. პროკურორი მოითხოვს ამხ. ტორგლერის სისხლს. ფაშისტურ დიქტატურას არ სურს მთლიანად აღიაროს თავისი ბოროტმოქმედებანი. იგი იძულებული უნდა ვყოთ, ხელები შორს ამხ. ტორგლერისაგან.

მთელს მსოფლიოში უკვე აზვირთდა უდიდესი მოძრაობა ტერორის და მხილებულ ცეცხლწამკიდებელთა სისხლიანი ზრახვების წინააღმდეგ. ეს პროტესტი სულ უფრო ხმამაღლა გაისმის, სულ უფრო ძლიერდება მშრომელთა მილიონების მოთხოვნა: თავისუფლება დიმიტროვს, ტორგლერს, პოპოვს, ტანევს, თავისუფლება ამხ. ტელმანს. თავისუფლება ათასობით საპყრობილეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში დამწყვდეულთ.

საბოლოოდ მხილებულია ლეიპციგის სასამართლოს საზიზღარი კომედია. საბოლოოდ მხილებულია ვერსია იმის შესახებ, რომ კომპარტია თებერვალში შეიარაღებულ აჯანყებას ამზადებდა. ამ ვერსიით, ისე, როგორც რეიხსტაგისათვის ცეცხლწაკიდებით, ფაშისტები ცდილობდნენ გაემართლებინათ თავისი ალვირახსნილი ტერორი მუშათა კლასის და კომპარტიის წინააღმდეგ. ორი ათასზე მეტი მოკლული, ათასობით დაპატიმრებული — ეს ციფრები გვაძლევენ დაახლოვებით წარმოდგენას იმ ტერორის შესახებ, რომლის სიგნალიც იყო ფაშისტების მიერ რეიხსტაგის შენობისათვის ცეცხლწაკიდება.

გერმანიის პროლეტარებს, გერმანიის კომუნისტებს თავისი საბრძოლო კომუნისტური დროშისათვის არ უღალატნიათ, ფაშისტური პროვოკაცია მხილებულია. ბრძოლა უფრო ჩაღდება—ბრძოლა მძიმე და შეუპოვარი. მაგრამ გერმანიის პროლეტარიატის საქმე მისი პარტიის საიმედო ხელშია,—პარტიის, რომელიც ლეიპციგის სასამართლოს დარბაზიდან გამარჯვებული გამოვიდა. ეს გერმანიის კომუნისტების ერთადერთი გამარჯვება როდია უმძიმეს არალეგალურ პირობებში ბრძოლის დროს. რევოლუციური მარქსიზმი განაგრძობს თავის დიად საქმეს.

სწორედ ახლა უნდა გავიხსენოთ ენგელსის სიტყვები, რომლებითაც მან მიმართა ბებელს 1881 წლის 25 აგვისტოს წერილში: „დადგება დრო, როცა კვლავ სხვა ქარი დაჰქროლავს. ჯერჯერობით კი ჩვენ გვიხდება... საკუთარ ზურგზე გადავიტანოთ მთავრობის და ბურჟუაზიის სისაძაგლენი. ეს სახუმარო საქმე როდია. მაგრამ ნუ დაივიწყებთ, ნურც ერთ სისაძაგლეს, რომელიც თქვენ და ყველა ჩვენ ამხანაგის მიმართ ჩადენილია. შურისძიების ჟამი შორს არ არის და ჩვენ, ბოლოს, იგი უნდა გამოვიყენოთ“.

(„პრავდას“ 15 დეკემბრის სარედაქციო წერილი)

ლეიპციგის პროცესი

გერმანიის კომპარტია გამარჯვებული გამოვიდა ლეიპციგის პროცესიდან

ფაშისტური პროკურატურა იძულებულია აღიაროს ბულგარელი კომუნისტების უდანაშაულობა

ლეიპციგი, 14 დეკემბერი. უზენაესი პროკურორი ვერნერი თავის დღევანდელ გამოსვლაში ჩერდება ტორგლერის ბრალდებაზე, ამასთან ემყარება ბრალმდებელი მხარის მთელი რიგი ისეთი მოწმეების ჩაფლავებულ ჩვენებას, როგორიც არიან კუნცაკი, გროტე, ლიბერმანი და სხვები. პროკურორი აღიარებს, რომ თვითეული ამ ჩვენებათაგანი საკმარისი არ არის, მაგრამ ამტკიცებს, რომ ყველა ეს ჩვენება, ერთად აღებული, ნდობის ღირსია“. ვერნერი იძულებულია აღიაროს, არ არის არც ერთი კაცი, რომელმაც უშუალოდ იცოდეს, რომ ოთხი ბრალდებული კომუნისტი ცეცხლწაკიდების მონაწილეები იყვნენ. ამიტომ პროკურორს სურს დაამტკიცოს მათი დანაშაულობა „იმ გარემოებათა ანალიზით, რომელნიც მიგვითითებდნენ ბრალდებული კომუნისტების თანამონაწილეობაზე“. ის ამტკიცებს, რომ ცეცხლწაკიდება შეიძლებოდა ხელსაყრელი ყოფილიყო მხოლოდ კომპარტიისათვის, რომელსაც ხელისუფლების სათავეში ჰიტლერის ჩადგომის მომენტიდანვე ან ხელი უნდა აეღო თავის მიზანზე, ან ეცადნა ჩაბმულიყო ბრძოლაში და გამარჯვებისათვის მიეღწია. ეს „არგუმენტაცია“ პროკურორს საკმარისად მიაჩნია იმისათვის, რომ ამტკიცოს: ტორგლერი დამნაშავეაო.. იმის დამადასტურებელ საბუთად, რომ ტორგლერი ცეცხლწაკიდების დროს ვითომ რეიხსტაგში იმყოფებოდა, პროკურორი მიუთითებს ბრალმდებელი მხარის ერთ-ერთი „მოწმის“ ჩვენებაზე, რომელშიც უკანასკნელმა განაცხადა, რომ ვითომ მას 25 თუ 27 თებერვალს ტორგლერი ენახოს რეიხსტაგში მიხაკისფერ ქაღალდში შეხვეული პაკეტით. მაგრამ, როგორც ცნობილია, პროცესზე გამოირკვა, რომ 25 თებერვალს ტორგლერი რეიხსტაგში მივიდა თეთრი პაკეტით, რომელშიც, ტორგლერის სიტყვით, სამცხვარი იყო. საკითხი—იყო თუ არა ტორგლერი 27 თებერვალს მთელ დღეს რეიხსტაგში პროკურორს, ბოლოსდაბოლოს, უმნიშვნელოდ მიაჩნია. პროკურორის სიტყვით, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია საკითხი იმის შესახებ, ეწეოდა თუ არა ტორგლერი „ნორმალურ მოღვაწეობას“. ორი მოწმის ჩვენება, რომ მათ რეიხსტაგისათვის ცეცხლწაკიდების დღეს, საღამოს 7-დან 8 საათამდე, დარეკეს „ტორგლერის ოთახში, მაგრამ პასუხი ვერ მიიღეს“,—ეს ჩვენება პროკურორს საკმარის საბუთად მიაჩნია იმ დასკვნის გამოსაყვანად, რომ ტორგლერი ამ დროს შეიძლება რეიხსტაგისათვის ცეცხლწაკიდებას ამზადებდა.

შემდეგ პროკურორი ჩერდება მოწმე გროტეს ჩვენებაზე, რომელშიც მან, როგორც ცნობილია, განაცხადა, რომ ვითომ განზრახული აჯანყება არ მოხდა, ვინაიდან „ც. კ.-ის შიკრიკებს საქმე ჩაეშალათ“. უზენაესი პროკურორი მოწმეთა ყველა ჩვენებას, რომელიც გროტეს განცხადებას აბათილებს, ნდობის ღირსად არ თვლის. ამავე დროს ის იძულებულია აღიაროს, რომ გროტეს ჩვენებას არ შეიძლება მიეცეს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მაგრამ, თუმცა ეს აშკარად ეწინააღმდეგება წინად ნათქვამს, პროკურორი აცხადებს: „არ არის არავითარი დამამტკიცებელი საბუთი, რომ გროტეს ჩვენება სინამდვილეს არ შეეფერებოდეს“.

შემდეგ პროკურორი ემყარება ბრალმდებელი მხარის „მოწმის“ ლიბერმანის ჩვენებას, რომელშიც უკანასკნელმა განაცხადა, რომ ტორგლერი, ვითომ, 1931 წელს ცდილობდა მიემხრო ის და გამოეყენებია საზოგადოებრივი შენობებისათვის ცეცხლის წასაკიდებლად. მაგრამ პროკურორს არ შეუძლია იქვე არ აღიაროს, რომ ამ „სისხლის სამართლის დიდი წარსულის მქონე მოწმის“ ჩვენება თავის თავად საკმარისი არ არის. მაგრამ როგორც გროტეს, ისე ლიბერმანის შემთხვევაშიც პროკურორი თვლის, რომ „ჩვენებათა უსაფუძვლობა“ არ არის დამტკიცებული. პროკურორს ტორგლერის „დანაშაულობის“ დამამტკიცებელ საბუთად კიდევ მოჰყავს ბრალმდებელი მხარის „მოწმის“, ქურდ-რეციდივისტის კუნცაკის ჩვენება. მაგრამ პროკურორი იძულებულია აღიაროს, რომ მისი ჩვენებაც „არასაკმარისია, თუმცა გაბათილებული არ არის“. ამ ჩვენებათა თავისებური „სინთეზის“ საფუძველზე, რომელთაგან თვითეული „თავისთავად არასაკმარისია“, პროკურორი მიდის იმ დასკვნამდე. რომ ეჭვი რეიხსტაგისათვის ცეცხლწაკიდებაში ტორგლერის მონაწილეობაში „დასაბუთებულია“. პროკურორი მოითხოვს გამოუტანონ ტორგლერს სასიკვდილო განაჩენი „რეიხსტაგისათვის ცეცხლწაკიდებასა“ და „არსებული წყობილების დამხობის ცდაში“ ბრალის დადების გამო.

პროკურორის მოთხოვნა სასიკვდილო განაჩენის გამოტანის შესახებ ტორგლერმა სრულიად მშვიდად და გულგრილად მოისმინა, არა ნაკლებად გულგრილად მოისმინეს ბულგარელმა კომუნისტებმა პროკურორის წინადადება: დამამტკიცებელი საბუთების უქონლობის გამო მათი განთავისუფლების შესახებ ვან-დერ-ლუბე სრულ ინდიფერენტობას იჩენს და თავდახრილი ზის.

საღამოს სხდომის დაწყებისას, ვიდრე პროკურორი დაიწყებდა სიტყვას ბულგარელების შესახებ, თავმჯდომარე მიმართავს დიმიტროვს და შენიშნავს, რომ ის პროკურორის მიერ სიტყვის წარმოთქმის დროს „ირონიულად იღიმებოდა. ეს არის პროვოკაცია და სასამართლოსადმი უპატივცემლობა“-ო.

დიმიტროვი დგება და ცოტა ხმამაღლა აცხადებს: „მე ბევრი რამ მართლაც სასაცილოდ მეჩვენება“. ამ განცხადების გამო თავმჯდომარე შენიშვნას აძლევს მას და ამბობს, რომ ბრალდებულნი შეიძლება დარბაზიდან გაძევებულ იქნენ მხარეთა კამათის დროსაც. „დაჯექით. მე არ მსურს კიდევ გავიგონო თქვენი ხმა“, მკაცრად აცხადებს თავმჯდომარე.

შემდეგ ვერნერი ასაბუთებს თავის წინადადებას ბულგარელებისათვის განაჩენის გამოტანის შესახებ. თუმცა პროკურორი მოითხოვდა ბულგარელების გამართლებას, მაგრამ ის მთელი თავისი მსჯელობით ცდილობდა შეექმნა შთაბეჭდილება, რომ ეჭვებს ბულგარელების წინააღმდეგ საფუძველი ჰქონდა. პროკურორი ასწერს ბულგარელების აქტიურ რევოლუციურ მოღვაწეობას თავის ქვეყანაში და აღნიშნავს, რომ სამივე გერმანიაში ჩამოვიდა იმ დროს, „როცა კომპარტია შეიარაღებული აჯანყებისათვის ემზადებოდა“. ამას ის „საეჭვოდ“ თვლის და აღნიშნავს, რომ ბულგარელებს არ წარმოუდგენიათ ნდობის ღირსი მასალა იმის შესახებ, რომ მათ გერმანიის საქმეები არ აინტერესებდათ. მას „ნაკლებად შესაძლებლად“ მიაჩნია, რომ დიმიტროვი გერმანიაში ყოფნის დროს მარტო ბულგარეთის საქმეებით ყოფილიყოს გართული. მაგრამ,—ამბობს ის—არ მოიპოვება ამის დამამტკიცებელი საბუთები, რომ დიმიტროვი სხვანაირ მუშაობას ეწეოდა. ბულგარელების წინააღმდეგ ძირითად ჩვენებად პროკურორს მიაჩნია რესტორან „ბაიერნგოფის“ კელნერის—გელმერის ჩვენება, როგორც ცნობილია, გელმერი ამტკიცებდა: ვანდერლუბე 1932 წლის ზაფხულს ბულგარელებთან ერთად „ბაიერნგოფში ვნახეთო. პროკურორი აღნიშნავს,—დოკუმენტალურად დადგენილი და დამტკიცებულია, რომ თითქოს, ვან-დერ-ლუბე ამ პერიოდში არ შეიძლებოდა ყოფილიყო გერმანიაში და იყო ჰოლანდიაში, და ასკვნის, რომ ეს არყევს გელმერის ჩვენებას.

„არ არის არავითარი უდაო საბუთი,—ამბობს ის,—რომ ვან-დერ-ლუბე შეხვედროდეს ბულგარელებს“. რამდენადაც გელმერის ჩვენება შერყეულია, პროკურორის აზრით, არ შეიძლება დამტკიცდეს, რომ ბულგარელებს რეიხსტაგისათვის ცეცხლწაკიდებასთან დამოკიდებულება ჰქონოდეთ. „ჩემ მიერ აქ მოყვანილი გარემოებანი,—ამთავრებს პროკურორი, მოწმობენ, რომ ბულგარელები გერმანიაში ეწეოდნენ ნებადაურთველ მუშაობას, რომელსაც დამოკიდებულება ჰქონდა გერმანიის რევოლუციის მომზადებასთან. ამის შესახებ ბევრი რამ მეტყველებს. მაგრამ ის, რომ მათ რეიხსტაგისათვის ცეცხლწაკიდებასთან დამოკიდებულება ჰქონოდეთ, ჩვენის აზრით, საკმაო გარკვეულობით დამტკიცებული არ არის“.

პროკურორი უარს ამბობს ბულგარელებისათვის ბრალის დადებაზე. და რადგან ექიმი ზიიფერტი ითხოვს, რომ მისი გამოსვლა ხვალისათვის იქნეს გადატანილი, პირველი გამოდის ვექილი ტოიხერტი (ადს).

ლეიპციგი, 13 დეკემბერი. პროკურორი ვერნერი თავის საბრალმდებლო სიტყვაში შეეცადა დაეცვა ნაციონალ-სოციალისტების მტკიცება, რომ რეიხსტაგისათვის ცეცხლის წაკიდება წარმოადგენდა „სიგნალს სახელმწიფოს მტრებისთვის, გერმანიის სახელმწიფოზე იერიშის მიტანისა და პროლეტარიატის დიქტატურის გამოცხადების მიზნით“. სიტყვის პირველ ნაწილში პროკურორი შეეცადა გაებათილებია უცხოეთის პრესის მხილებანი პროცესის ნამდვილი მოტივების შესახებ. პროკურორი უარყოფდა „მიხაკისფერი წიგნის“ მტკიცებას, რომ ვან-დერ-ლუბე მოქმედებდა ნაციონალ-სოციალისტებთან ერთად და რომ ობერ ფორენმა თავის მემორანდუმში ამხილა რეიხსტაგის ნამდვილი ცეცხლწამკიდებლები. პროკურორი დაჟინებით იცავს იმ დებულებას, რომ ვან-დერ-ლუბე კომუნისტია, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ვან-დერ-ლუბე და აგრეთვე სხვა ბრალდებულნი უარყოფენ ამას. იმ ფაქტს, რომ 1931 წელს ვან-დერ-ლუბე გამოვიდა კომპარტიიდან, პროკურორის აზრით, „არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა“, რადგან, „მას სულერთია მიზნად ჰქონდა დასახული თავისი მოქმედებით გამოეწვია კომუნისტური რევოლუცია“.

ეხება რა ბრალდებას კომუნისტური პარტიის მონაწილეობის შესახებ რეიხსტაგისათვის ცეცხლწაკიდებაში, რომელიც უნდა ყოფილიყო შეიარაღებული აჯანყების სიგნალი, პროკურორი იმოწმებს ეგრედწოდებული „გერმანული საგანგებო კომისიის“ პროკლამაციის მასალებს და ამტკიცებს, რომ მაშინ წარმოებდა ტერორისტული აქტების მომზადება.

შემდეგ პროკურორი ამტკიცებს, რომ კომპარტიამ 1933 წლის დამდეგს დარწმუნებული იყო, რომ დადგა რევოლუციური სიტუაცია. თუ კომპარტიამ ვერ შესძლო მთლიანი ფრონტის შექმნა და მუშათა კლასის უმრავლესობის მიმხრობა, ეს, პროკურორის სიტყვით, არ უარყოფს იმის შესაძლებლობას, რომ კომპარტია ემზადებოდა შეიარაღებული აჯანყებისათვის.

პროკურორ ვერნერის ამ პოლიტიკური გამოსვლის შემდეგ, მისი თანაშემწე პარიზიუსი გამოვიდა საბრალმდებლო სიტყვით რეიხსტაგისათვის ცეცხლწაკიდების გარემოებათა შესახებ. პარიზიუსი ცდილობს იმის დამოწმებით, თითქოს ვან-დერ-ლუბეს ლაპარაკი ჰქონდეს უმუშევრებთან. ჩამოაყალიბოს არგუმენტი, რომ ვან-დერ-ლუბემ ნეიკელნში უმუშევართა შორის ჰპოვა საჭირო წრე, პოლიტიკური ატმოსფერო და ისეთი ხალხი, რომელთაც სურდათ ძალმომრეობითი აქტების გზით მიეღწიათ კომპარტიის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის, პარიზიუსი საათზე მეტს ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ წაუკიდა ვან-დერ-ლუბემ ცეცხლი რეიხსტაგს, როგორ აღმოაჩინეს ხანძარი და სხვ. პარიზიუსი სთვლის, რომ ვან-დერ-ლუბემ რეიხსტაგს ცეცხლი წაუკიდა არა მარტომ, არამედ მას ჰყავდა თანამონაწილეები, „ამასთან ისეთები, რომელნიც დაწვრილებით იცნობენ რეიხსტაგის შენობას“. შემდეგ პარიზიუსი აღნიშნავს, რომ ვან-დერ-ლუბემ ცეცხლწაკიდებისათვის სწორედ ხელსაყრელი სიტუაცია აირჩია, როცა იგი დარწმუნებული იყო, რომ მას ბოროტმოქმედების ადგილზე ვერ მიუსწრებს რეიხსტაგის ვერც ერთი მოსამსახურე. პარიზიუსი სთვლის, რომ ვან-დერ-ლუბეს არ შეიძლება ჰქონოდა საკმაო დრო, რათა მარტო მას წაეკიდებინა ცეცხლი პლენარული სხდომის დარბაზისთვის, და რომ მას, სულ ცოტა, 2—3 თანამოზარე ჰყავდა. პარიზიუსი ამტკიცებს, რომ საწვავი მასალა ბოროტმოქმედების ადგილზე ხანძრის გაჩენამდე შეიძლება მიეტანათ ბოროტგანმზრახველებს, რომელთაც შეეძლოთ რეიხსტაგის შენობაში შესვლა ან ტორგლერის დახმარებით ან როგორც საქმეზე მომსვლელთ, რომელნიც აღრევე ჰოვიდნენ და დაიმალნენ შენობაში. ის გარემოება, რომ ვან-დერ-ლუბე გადაძვრა ფანჯრიდან, პარიზიუსის აზრით, „საკვირველია, მაგრამ მაინც შესაძლებელია“ ამასთანავე პროკურორს შესაძლოდ მიაჩნია, რომ ვან-დერ-ლუბეს არ იცოდა, რომ იმავე დროს პლენარულ დარბაზს ცეცხლს უკიდებენ სხვა პირები—ამ შემთხვევაში იგი თანამოხაჭილე იყო—ან არაფერი იცოდა სხვა ცეცხლწამკიდებლების შესახებ და ამ შემთხვევაში, პარიზიუსის აზრით, ვან-დერ-ლუბემ ბოროტმოქმედება ჩაიდინა სხვებთან პარალელურად. პარიზიუსის აზრით, წინასწარ გადაწყვეტილი იყო, რომ ვან-დერ-ლუბეს დააპატიმრებენ, რის შემდეგ დანარჩენ ბოროტმოქმედთ აღარავინ მიაქცევს ყურადღებას. ის ფაქტი, რომ ვან-დერ-ლუბეს, როცა იგი დააპატიმრეს, მარტო შარვალი ეცვა, პარიზიუსის სიტყვით, ამტკიცებს, რომ „ვან-დერ-ლუბეს თვითონ უნდოდა დაეპატიმრებიათ“. პარიზიუსი წინადადებას იძლევა ვან-დერ-ლუბეს შეეფარდოს სასჯელის უმაღლესი ზომა, რასაც ასაბუთებს სახელმწიფო წესწყობილების დამხობის ცდის მომენტის არსებობით (ადს).

ლეიპციგი, 14 დეკემბერი. უზენაესმა პროკურორმა მოითხოვა შემდეგი განაჩენის გამოტანა ბრალდებულებისათვის:

1. **ვან-დერ-ლუბს**—სახელმწიფო წყობილების დამხობის ცდისათვის, ცეცხლწაკიდებათა და ცეცხლწაკიდების ერთი ცდისათვის, 5, 81, 82 და 308 პარაგრაფების, აგრეთვე სახელმწიფოს დაცვის დეკრეტის და სასიკვდილით დასჯის შესახებ 29 მარტს გამოცემული საგანგებო კანონის მიხედვით—**სიკვდილით დასჯა.**
2. **ტორგლერს**—სახელმწიფო ღალატისა და სერიოზული ცეცხლწაკიდებისთვის იმავე კანონების მიხედვით—**სიკვდილით დასჯა.**
3. **დიმიტროვი, პოპოვი და ტანევი**—სახელმწიფო წყობილების დამხობის ცდასა და ცეცხლწაკიდებაში ბრალის დადებისაგან, დამამტკიცებელი საბუთების ნაკლებობის გამო, **გამართლებულ იქნან.**

საფრანგეთის პრესა ლეიპციგის პროცესის დასკვნითი ფაზის შესახებ

პარიზი, 14 დეკემბერი. გაზეთები საკმაოდ ვრცლად აშუქებენ ლეიპციგის პროცესის დასკვნით ფაზას. მრავალი გაზეთის აზრით ბრალმდებლის სიტყვის შესახებ სხარტად ჩამოყალიბებულია „ეკო-დე-პარის“ მოკლე შენიშვნაში—„უზენაესი პროკურორი უფრო მეტად იცავს, ვიდრე ბრალს სდებს“. გაზეთების უმრავლესობა, ზოგი სავსებით, ზოგი შემოკლებით ათავსებს ჰავასის სააგენტოს ვრცელ დეპეშებს, რომელშიაც იგივე აზრია გატარებული. „ჩანს,—ლაპარაკობს ჰავასის კორესპონდენტი, —რომ ვერნერი უფრო ზრუნავს „მიხაკისფერი წიგნის“ გაბათილებაზე. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ის იმდენად ბრალს არ სდებს, რამდენად იცავს“.

პარიზი, 14 დეკემბერი. ლეიპციგიდან მიღებული ჰავასის სააგენტოს ყველა ცნობა გამსჭვალულია დიდი თანაგრძნობით ტორგლერის, ბრალდებულ ბულგარელების და განსაკუთრებით დიმიტროვისადმი. ცნობაში აღნიშნულია, რომ დიმიტროვი კვლავინდებურად რჩება სასამართლოსათვის მოუსვენარ მოწინააღმდეგად, რომელთანაც გაჯიბრება არ ძალუძთ სასამართლოს მოხელეებს.

ასწერს რა დიმიტროვის ქცევას ვერნერის სიტყვის დროს, ჰავასის სააგენტო ხაზს უსვამს, რომ დიმიტროვი სიტყვას ირონიული ღიმილით უსმენს.

კაშენი „ლუმანიტეში“ უპირისპირებს ერთიმანეთს პროკურორ ვერნერის სიტყვას გერინგის განცხადებას სასამართლოში და აგრეთვე მის განცხადებას, რომელიც გამოქვეყნდა 12 დეკემბერს ბერლინის ერთ-ერთ საღამოს გაზეთში. დასასრულ „ლუმანიტე“ მოუწოდებს მძლავრი მასობრივი საპროტესტო მოძრაობის ორგანიზაციისაკენ იმ დანაშაულობის წინააღმდეგ, რომელიც ლეიპციგში მზადდება (ადს).

საერთაშორისო საგამომძიებლო კომისიის დეპეშა გერმანიის უზენაეს სასამართლოს

პარიზი, 14 დეკემბერი. რეიხსტაგისათვის ცეცხლწაკიდების საქმის საერთაშორისო საგამომძიებლო კომისიამ გერმანიის უზენაეს სასამართლოს გაუგზავნა შემდეგი დეპეშა:

„გაზეთებში გამოქვეყნებული ანგარიშების თანახმად გერინგმა დაუშვა ახალი ჩარევა სასამართლო პროცედურაში და ამ მომენტში, როცა პროცესი უკანასკნელ სტადიაშია, გერინგი აცხადებს, რომ სრულებითაც საჭირო არ არის კანონის მუხლების დაცვა. თუ სასამართლო პროტესტს არ აცხადებს ასეთი განცხადების წინააღმდეგ, ამით ის დაადასტურებს ჩვენს აზრს, რომ არა თუ მოწმეები და ექსპერტები, არამედ მოსამართლენიც ხელისუფლების სათავეში მდგომ პირთა ძლიერი გავლენის ქვეშ იმყოფებიან“.

ამავე დროს იტყობინებიან, რომ მთელს ქვეყანაში იზრდება საპროტესტო მოძრაობა ლეიპციგის პროცესის წინააღმდეგ. გერმანიის საელჩოში პარიზში ყოველდღე მოდის მრავალი ათეული საპროტესტო რეზოლუცია, რომლებიც გამოაქვთ საერთო კრებებზე. „ლუმანიტეს“ რედაქციაში მიღებულია მრავალი ათეული პეტიცია, რომელთაც ათასობით ხელს აწერენ და მოითხოვენ ბრალდებული კომუნისტების განთავისუფლებას (ადს).

ერიოს მოხსენება საბჭოთა კავშირის შესახებ

პარიზი, 14 დეკემბერი. პარლამენტის გარეშე საქმეთა კომისიაში ერიომ გააკეთა მოხსენება საბჭოთა კავშირის შესახებ.. მან დაიწყო განცხადებით, რომ მას განზრახული აქვს დაიცვას თავისი შეხედულებები საბჭოთა კავშირის შესახებ, მიუხედავად შეურაცხყოფისა და მუქარისა, რომელთაც ის განიცდიდა თეთრგვარდიელებისაგან (ტაში). შემდეგ ერიომ აღნიშნა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო გავლენის უდიდესი ზრდა (ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ლონდონის კონვენციის დადება აგრესორის განსაზღვრის შესახებ) და ხაზი გაუსვა, რომ ახლანდელ, საშიშროებით აღსავსე, პირობებში საბჭოთა კავშირი მტკიცედ იცავს მშვიდობიანობის საქმეს.

ერიომ მოკლედ დაახასიათა საბჭოთა კონსტიტუცია და აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობა ატარებს ნაციონალურ უმცირესობათა პოლიტიკას და ხელს უწყობს ნაციონალური კულტურის განვითარებას. ამასთან მან ილაპარაკა თავის შთაბეჭდილებებზე, რომელიც მიიღო უკრაინაში ყოფნისას, აღნიშნა უკრაინის კულტურის უდიდესი ზრდა, უკრაინული პრესის ტირაჟის გადიდება და სხვ.

გადავიდა რა საბჭოთა კავშირის ეკონომიკაზე, ერიომ დაიმოწმა საფრანგეთის მიწათმოქმედების ყოფილი მინისტრის ბორეს აზრი და განაცხადა, რომ სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილი ტექნიკა ძველ რუსეთში არ იძლეოდა მოსახლეობის გამოკვების საშუალებას. ამიტომ აუცილებელი იყო გადასვლა კოლექტივიზაციაზე. საბჭოთა მეურნეობების მშენებლობაზე და სოფლის მეურნეობის მექანიზაციაზე. ერიომ შეადარა თავისი ახლანდელი შთაბეჭდილება 1922 წელს საბჭოთა კავშირში ყოფნისას მიღებულ შთაბეჭდილებას და აღნიშნა სოფლის მეურნეობის უდიდესი პროგრესი და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდა. მოიყვანა რა საბჭოთა კავშირში ნამყოფ უცხოელების დოკუმენტალური ცნობები და თავისი დაკვირვებები, ერიომ უარყო საბჭოთა კავშირის მტრების მიერ გამოგონილი ცილისწამება „შიმშილობის და სოფლის მეურნეობის დეგრადაციის შესახებ“. ერიოს განცხადებით, ის განსაკუთრებით გააოცა სამეცნიერო და სამეცნიერო-კვლევითი სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებების განვითარებამ, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის გაძლიერებამ, სოფლად ტრაქტორების და კომბაინების რიცხვის ზრდამ, აგრეთვე ავიაციის გამოყენებამ სოფლის მეურნეობაში. ამასთან ერთად ერიომ გამოაქვეყნა საბჭოთა კავშირის მთავრობის დადგენილება პურით თავისუფალი ვაჭრობის შესახებ იმ ოლქებში, რომლებმაც შეასრულეს თავიანთი ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე და დაამთავრეს სათესლო ფონდების გამოყოფა.

შემდეგ ერიო დაწვრილებით შეჩერდა თავის შთაბეჭდილებებზე, რომელიც მან მიიღო ხარკოვსა და კიევში ყოფნის დროს. „მე, როგორც კაცს, რომელიც 20 წელზე მეტია ქალაქ ლიონის ქალაქის თავის თანამდებობაზე იმყოფება,—განაცხადა ერიომ—შემიძლია დავადასტურო, რომ საბჭოთა ქალაქების კომუნალური კეთილმოწყობა ძალიან მაღლა დგას“. „კიდევ უფრო განსაცვიფრებლად,—განაცხადა ერიომ, მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის პროცესი. „ქვეყანა საწარმოო ციებცხელებას მოუცავს“,—აღნიშნა ერიომ.

აუდიტორიაზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ერიოს ნაამბობმა დამკვრელობის, საბჭოთა მეურნეობების გეგმიანი ხასიათის, ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შესახებ. მის მოხსენებას ამ ადგილებში არა ერთხელ წყვეტდნენ ტაშით. ერიომ მოიყვანა აგრეთვე ციფრები ქვანახშირის და ნავთის ამოღების, ავტომობილების, ტრაქტორების წარმოების, ელექტრონის ენერგიის ზრდის შესახებ, მოიყვანა ამხ. სტალინის ექვსი მითითება და განაცხადა, რომ დნეპრჰესმა მასზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, ილაპარაკა რა მაგნიტოგორსკის ქარხნის, კუზნეცკის ქარხნის, თეთრი ზღვისა და ბალტიის ზღვის არხის მშენებლობის შესახებ, ერიომ აღნიშნა „საბჭოთა კავშირის მუშების ენტუზიაზმი, რომელთათვის შრომა იქცა ღირსების საქმედ“. „შეუძლებელია ალტაცებაში არ მოგიყვანოს ამ გმირობამ“ განაცხადა მან. შემდეგ ერიომ დაწვრილებით ილაპარაკა შრომის ორგანიზაციაზე საწარმოებში, კერძოდ ბრძოლაზე გათანაბრების წინააღმდეგ, გააშუქა სპეციალისტების მდგომარეობა. ამავე დროს მან დაახასიათა საბჭოთა კავშირის სამრეწველო განვითარება, როგორც „გიგანტური, შესანიშნავი“.

დასასრულ, შეეხო რა წითელ არმიას, ერიომ აღნიშნა მისი მაღალი ბრძოლისუნარიანობა და განსაკუთრებით დაწვრილებით შეჩერდა მის ტექნიკურ შეიარაღებაზე და მოტორიზაციაზე. „საბჭოთა ავიაცია,—თქვა მან,—ეს უდიდესი ძალაა“. ამასთან დაამოწმა ავიაციის მინისტრი პიერ კოტ- „საბჭოთა კავშირი,—თქვა ერიომ, მთელი არსებით დაკავშირებულია თავის არმიასთან. წითელი არმია სარგებლობს პატივისცემით და სიყვარულით“.

თავისი მოხსენების შეჯამებისას ერიომ განაცხადა, რომ, მიუხედავად საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის პოლიტიკური წყობილების სხვადასხვაობისა, შეუძლებელია გვერდის ავლა ამ უდიდესი ქვეყნისათვის, რომელიც აღსავსეა მძლავრი გატაცებით, მოქმედების სურვილით, და რევოლუციური დინამიზმით, ქვეყნისათვის, რომელიც წინ მიდის. რესპუბლიკას, რომელიც დამყარებულია შრომაზე, შრომის პატივისცემაზე, შეუძლია გაბედულად უყუროს მომავალს. საბჭოთა კავშირს უნდა მშვიდობიანობა და შესანიშნავი შეუპოვრობით არ ეგება პროვოკაციის ანკესზე. საფრანგეთის საზოგადოებრივმა აზრმა,—დაამთავრა ერიომ,—ყველაფერი გულდასმით უნდა აწონ-დაწონოს და შეიგნოს საბჭოთა კავშირთან დაახლოვების აუცილებლობა მშვიდობიანობისა და საფრანგეთის ინტერესების გულისთვის“ (ადს).

პიერ კოტი საბჭოთა კავშირის ავიაციის შესახებ

პარიზი, 13 დეკემბერი. ავიაციის მინისტრმა პიერ კოტმა დეპუტატთა პალატის გარეშე საქმეთა კომისიაში გაკეთებულ მოხსენებაში საბჭოთა კავშირში მისი გაფრენის შესახებ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ტექნიკურად საბჭოთა თვითმფრინავები ისევე სრულყოფილი არიან, როგორც ევროპის სხვა ქვეყნების თვითმფრინავები; კოტმა აღნიშნა, რომ საბჭოთა ლაბორატორიები გამუდმებით სწავლობენ ავიაციის პრობლემებს და ახდენენ ცდებს. მან განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის სამხედრო საავიაციო ქარხნები და მფრინავთა შემადგენლობა მაღალკვალიფიციური არიან და მაგალითისათვის მოიყვანა 600 თვითმფრინავის შესანიშნავი გაფრენა, რომელთაგან უკანასკნელი აფრინდა ბრძანების გაცემიდან 9 წუთის გასვლის შემდეგ (ადს).

საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკა იმარჯვებს

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა გამოცვლა საბჭოთა კავშირსა და იტალიას შორის.

მოსკოვი, 15 დეკემბერი. 15 დეკემბერს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ამხ. ლიტვინოვსა და იტალიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ბ-ნ ატოლიკოს შორის მოხდა საბჭოთა კავშირსა და იტალიას შორის მეგობრობისა, თავდაუსხმელობისა და ნეიტრალიტეტის შესახებ 1933 წ. 2 სექტემბერს რომში დადებული ხელშეკრულების სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა-გამოცვლა. მე-7 მუხლის საფუძველზე აღნიშნული ხელშეკრულება ამ რიცხვიდან შევა ძალაში ორივე ქვეყანას შორის. (ადს).

აგრესიის განმსაზღვრელი კონვენციის სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა-გამოცვლა ლიტვასა და ს.ს.რ.კ-ს შორის.

მოსკოვი. 11 დეკემბერი. 1933 წ. 14 დეკემბერს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ამხ. მ. მ. ლიტვინოვსა და ლიტვის საგანგებო ელჩს და სრულუფლებიან მინისტრ ბ-ნ იურის ბალტრუშაიტისს შორის მოხდა აგრესიის განმსაზღვრელი კონვენციის სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა-გამოცვლა; კონვენცია ხელმოწერილ იქნა საბჭოთა კავშირსა და ლიტვის რესპუბლიკას შორის ლონდონში 1933 წლის 5 ივლისს.

აღნიშნული კონვენცია, მეოთხე მუხლის თანახმად, ამ რიცხვიდან შევიდა ძალაში ორივე სახელმწიფოს შორის (ადს).

გერმანიის ელჩის ბ-ნ ნადოლნის მიღება მოლოტოვის მიერ.

მოსკოვი, 14 დეკემბერი. 14 დეკემბერს გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბ-ნი რ. ნადოლნი წარუდგა ს.ს.რ.კ-ს სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ვ. მ. მოლოტოვს (ადს).

„ჰიტლერი თუ მოსკოვი“?

პარიზი, 14 დეკემბერი როგორც „ავენირი“ იუწყება, დეპუტატთა პალატის უცხოეთის საქმეთა კომისიის სხდომაზე პიერ კოტის მოხსენების შემდეგ უკიდურესმა მემარჯვენე დეპუტატმა იბარნეგარემ მოითხოვა ზუსტი ცნობები საფრანგეთ - გერმანიის მოლაპარაკების მსვლელობის შესახებ. „მართალია თუ არა, რომ გერმანიამ შესთავაზა საფრანგეთს სამხედრო და ეკონომიური კავშირი“—შეეკითხა იბარნეგარე.

დეპუტატმა რიენომ მოუთითა „საფრანგეთ - გერმანიის მოლაპარაკების მსვლელობაში სიფრთხილის დაცვის“ აუცილებლობაზე.

კომისიამ დაავალა **ერიოს მოსთხოვოს** ბონკურს დაწვრილებითი ინფორმაცია საფრანგეთ - გერმანიის მოლაპარაკების შესახებ „ავენირი“ ამის შესახებ წერს:

„კომისიას სურს იყოს მოლაპარაკების საქმის კურსში. მთავრობამ უნდა აცნობოს მას ყველა თავისი განზრახვა ამ მნიშვნელოვან საკითხში. ამრიგად, საკითხი დგება ასე: ჰიტლერი თუ მოსკოვი“.

„ორდრის“ ცნობით, კომისიის უმრავლესობა უარყოფითი აზრისაა პარიზსა და ბერლინის შორის უშუალო მოლაპარაკების შესახებ (ადს.

მანჯურიის პოლიცია განაგრძობს საბჭოთა მოქალაქეების დაპატიმრებას

აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე

ხაბაროვსკი, 13 დეკემბერი. წევის დარგის უბნის უფროსის თანაშემწე სადგ. ბუხედუში ამხ. კირილოვი, ხარბინში მცველების თანხლებით ჩამოყვანილი, რომელიც ამას წინათ განთავისუფლებულ იქნა, 10 დეკემბერს ხელახლა დააპატიმრა ხარბინის პოლიციამ.

სადგ. ბუხედუში 11 დეკემბერს პოლიციამ დააპატიმრა საბჭოთა მოქალაქე, დეპოს ოსტატი სიმონოვი. აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის მმართველმა ამხ. რუდიმ წერილობით მოსთხოვა პოლიციის უფროსს შეწყვეტილ იქნეს პოლიციის მოხელეთა ჩარევა რკინიგზის აგენტთა მუშაობაში და დაპატიმრებულთა დაუყოვნებლივ განთავისუფლება (ადს).

მანჯურიის სასამართლოს პროკურორი აშკარად ადგება ხელშეკრულებათა დარღვევის გზას.

ხაბაროვსკი, 14 დეკემბერი. მანჯურიის პოლიციის მიერ ამას წინად დაპატიმრებული სადგ. ანდას დეპოს უფროსის მოვალეობათა დროებით აღმასრულებელი საბჭოთა მოქალაქე მაკოვეცკი შემდეგ განთავისუფლებულ იქნა. ამჟამად მის მიერ მიღებულია და წარდგენილია გზის სამმართველოში მანჯურიის სასამართლოს პროკურორის დადგენილება 5 დეკემბრის თარიღით, რომელშიაც პროკურორი აღნიშნავს, რომ, ვითომც, მაკოვეცკი — დეპოს საბჭოთა უფროსი, მიცემული იყო სასამართლო პასუხისგებაში გაო ჩენ-ჟუს— დეპოს მანჯურელი უფროსის — საჩივრის გამო. პროკურორის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ გაო ჩენ-ჟუ „დანიშნულია აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის მანჯურელ მმართველად“. ამის გამო, ს.ს.რ.კ-ს გენერალურმა კონსულმა ამხ. სლავუცკიმ 12 დეკემბერს ინახულა დიპლომატიური აგენტი ში ლიუ-შენი და აღნიშნა, რომ მას არ შეუძლია ფიქრიც კი, რომ მანჯურიის სასამართლოს პროკურორი არ იცნობდეს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზის შესახებ არსებულ ხელშეკრულებებს, რომელთა თანახმადაც აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზაზე არსებობს მხოლოდ ერთი საბჭოთა მმართველი. ამხ. სლავუცკიმ განაცხადა ენერგიული პროტესტი და მოითხოვა საკითხის სასწრაფოდ გამორკვევა და ახსნა-განმარტების წარდგენა. ში ლიუ-შენი შეპირდა საკითხის გამოკვლევას

XVII პარტყრილობის სახელობის წითელი დაფა

მე-17 ყრილობის სახელობის ლაშქრობა, რომლის მოწყობა მოითხოვეს მოსკოვის მუშებმა, სწორედ თავისი უაღრესი კონკრეტულობით ხასიათდება. „თვითეული მუშის, მუშა-ქალის, სპეციალისტის, კოლმეურნის და კოლმეურნე-ქალის დიდი სახელია — გახდეს ყრილობის აქტიური მონაწილე და უთხრას თავის თავს: **მე გავაკეთებ ყველაფერს, რაც საჭიროა იმისათვის, რომ ჩემი ფაბრიკა, ჩემი ქარხანა, ჩემი მაღარო, ჩემი რკინის გზა, ჩემი ორთქლმავალი, ჩემი საბჭოთა მეურნეობა, ჩემი კოლმეურნეობა, ჩემი კოოპერატივი შეხვდეს პარტიულ ყრილობას ახალი მიღწევებით**“. („პრავდა“)

საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის სტალინის სახელობის რაიკომის წარდგენით მე-17 პარტყრილობის სახელობის წითელ დაფაზე შეტანილია

კალინინის სახელობის ქარხნის მექანიკური საამქრო

საამქრომ წლიური გეგმა შეასრულა თერთმეტ თვეში 115,3 პროც.
შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა შესრულებულია 136,7 პროც.
თვითღირებულება 11 თვეში გეგმით გათვალისწინებულ 6 პროცენტის ნაცვლად შემცირებულია 21 პროცენტით მთელი ქარხნის მასშტაბით.
საამქროს საუკეთესო მუშებია **ვ. კუნდუხაშვილი, გუკასოვი, ვიტმანი, ტამილინი, ბაბაიანი, იუხნელი, ხკალსკი, მიქაელიანი.**
საამქროს უფროსია **ს. სუკიასოვი,** საამქროს პარტჯგუფის მდივანია **ვ. კუნდუხაშვილი,** პროფრწმუნებულია **ა. გუკასოვი.**

საქართველოს

ძირეული პარტორგანოების საანგარიშო-საგადარჩევო კამპანია

ავამაღლოთ კომუნისტების ავანგარდული როლი

შევხვდეთ პარტიის მე-17 ყრილობას საწარმოო და პოლიტიკურ დავალებათა ბოლშევიკურად შესრულებით

წარვდგეთ მე-17 პარტყრილობაზე გამარჯვებათა ციფრებითა და ფაქტებით

სოხუმი, 12 დეკემბერი. აფხაზეთის კოლმეურნეობებში ფართოდ გაჩაღდა მზადება მე-17 პარტყრილობისათვის. საკ. კ.პ. (ბ- ც. კ-ის გადაწყვეტილებამ ყრილობის მოწვევის შესახებ კოლმეურნეებს შორის დიდი აღტყინება და შრომითი ენტუზიაზმი გამოიწვია. ფართოდ გაჩაღდა სოცშეჯიბრება თამბაქოს დამზადების გეგმის უკეთესად შესრულებისათვის, თამბაქოს შეფუთვის სტანდარტის უკეთ დაცვისათვის ჩამორჩენილი კოლმეურნეობები აჰყავთ ბუქსირზე. იწყება მედგარი ბრძოლა პროდუქციის ხარისხისათვის. კოლმეურნეთა მასაში ენტუზიაზმის უაღრესად გაძლიერებას ყველაზე უკეთ ახასიათებს მიასნიკოვის სახელობის კოლმეურნეობის (სოხუმის რაიონი. გულრიპშის სასოფლო საბჭო) წევრთა მიმართვა აფხაზეთის კოლმეურნეობებისადმი. „ჩვენი კოლმეურნეობა, დაარსებული კომკავშირელების მიერ,—ამბობენ მიმართვაში კოლმეურნეები, — საუკეთესო კოლმეურნეობაა მთელ სასოფლო საბჭოში. რიცხობრივად პარტიულ-კომკავშირული ბირთვის ხვედრითი წონა კოლმეურნეობაში დიდია. მაგრამ ეს როდია მთავარი. მთავარია ის რომ ჩვენი პარტიელები და კომკავშირელები საუკეთესო დამკვრელები არიან კოლმეურნეობაში. აი რა არის აღნიშნული ჩვენი პარტიელების და კომკავშირ. შრომის წიგნაკებში: მ. ცატურიანმა გამოიმუშავა 350 შრომა-დღე, ა. დერდერიანმა—350, ტ. კანსუზიანმა — 320, ა. [illegible]კუდიკიანმა—270, კ. ცატურიანმა—300, ო. ავედიკიანმა—260. ჩვენი კომუნისტები და კომკავშირელები თვითონაც კარგად მუშაობენ, კარგად ხელმძღვანელობენ მუშაობას და წინ მიუძღვიან უპარტიო კოლმეურნეებს“. მიასნიკოვის სახელობის კოლმეურნეობას დიდი საწარმოო მიღწევები აქვს. თამბაქოს (დიპსარის) დამზადების გეგმა კოლმეურნეობამ შეასრულა 150 პროცენტით. მთავრდება ერთ-ერთი ძირითადი შეტევის თამბაქოს—ხიზლამის ჩაბარება და დაიწყო ანაჩის შეფუთვა. კოლმეურნეობა აბარებს კარგი ხარისხის თამბაქოს; სტანდარტი საუკეთესოდ დაცულია. წელს კოლმეურნეობის შემოსავალი საგრძნობლად გაიზარდა. შარშან კოლმეურნის ერთი შრომადღე ღირდა 4 მან. 70 კაპ., მიმდინარე წელს, სულ მცირე რომ ვივარაუდოთ, შრომა-დღე ღირება არა ნაკლებ 6 მანეთისა. შემოსავლის განუწყვეტელი ზრდა საშუალებას აძლევს კოლმეურნეობას გააფართოვოს თავისი მეურნეობა. 1933 წელს კოლმეურნეობამ ააგო: სამჭედლო, თამბაქოს ფარდული, კანტორის შენობა, კოოპერატივის შენობა და საწყობი. წარმატებით ასრულებს რა თავის გეგმებს, კოლმეურნეობა ამავე დროს საწარმოო დახმარებას უწევს მეზობელ ღარიბ გლეხთა მეურნეობებს. კოლმეურნეობის კეთილმოწყობის ზრდამ, კოლექტიური შრომის შედეგების პრაქტიკულად ჩვენებამ კოლმეურნეობაში მოიზიდა ახალი წევრები—მშრომელი ერთპიროვნული გლეხები (ა. როგონიანის გ. კანსუზიანის და სხვ. მეურნეობანი).

ჩაებენ რა მე-17 პარტყრილობის სახელობის ლაშქრობაში, კოლმეურნეებმა იკისრეს ვალდებულება მიაღწიონ თამბაქოს ჩაბარების გეგმის მთლიან შესრულებას დაწესებულ ვადებში და საზოგადოებრივი ბუქსირის მეთოდით დახმარება გაუწიოს მეზობელ კოლმეურნეობას „მე-3 ინტერნაციონალს“, რათა მან ყრილობის გახსნის დღისათვის თავი დააღწიოს გარღვევას. „ამხანაგო კოლმეურნეებო,—ამთავრებს თავის მოწოდებას მიასნიკოვის სახ. კოლმეურნეობის წევრები,—მოდით მოვიკრიბოთ მთელი ძალღონე, დავჭიმოთ მთელი ენერგია და შევხვდეთ ყრილობას არა ხელცარიელი, არამედ ნამდვილი საჩუქრებით, ჩვენს საკოლმეურნეო გამარჯვებათა ციფრებით და ფაქტებით“ (ადს).

ორჯონიკიძის სახ. ქარხანა. ამხ. შეპალოვის, დამკვრელი ბრიგადა, რომელმაც მე-17 პარტყრილობისათვის იკისრა გეგმაზე გადამეტებით გამოუშვას სამი ხაწნეხი მანქანა „მობილი“ სურათზე მარჯვნივ ბრიგადირი ამხ. შეპალოვი, შუაში ბრიგადა მუშაობის დროს, მარცხნივ საუკეთესო დამკვრელი (პარტიის წევრი) ამხ. მენაბდიშვილი

ჩამოყალიბდა ახალი კოლმეურნეობები

(ტელეგრაფით საკ. კორ.)

თელავის რაიონში ფართოდ გაიშალა მოსამზადებელი მუშაობა მე-17 პარტყრილობისათვის. მთელ რიგ სასოფლო საბჭოებში მშრომელი ერთპიროვნული მეურნეები აცხადებენ სოფლის კოლმეურნეობებში შესვლის სურვილს. სოფელ ქისტაურის სასოფლო საბჭოში ჩამოყალიბდა მე-17 პარტიული ყრილობის სახელობის კოლმეურნეობა, რომელშიც გაერთიანდა ოცდახუთი კომლი, სოფელ აზანშენში ჩამოყალიბდა პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობა, რომელშიც გაერთიანდა თორმეტი კომლი.

არ. კოკელაშვილი.

რიონჰესელები მე-17 პარტყრილობაზე

ძირეული პარტორგანოების საანგარიშო - საგადარჩევო კამპანია რიონჰესის პარტიულ ორგანიზაციაში მიმდინარეობს ცხოველი სამზადისის და კონკრეტულ ვალდებულებათა აღების ნიშნით.

7 დეკემბერს მშენებლობის ყველა უბნებში ჩატარდა ერთიანი პარტიული დღე, მიძღვნილი საანგარიშო - საგადარჩევო კამპანიის მზადებისადმი. კრებებზე დამუშავებული იქნა საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის და საქ. კ; პ; (ბ) ც. კ-ის დადგენილებები და „პრავდას“ მეთაური „მეჩვიდმეტე“. კრებას დაესწრნენ უპარტიო დამკვრელი მუშები, რომლებიც ღებულობდნენ კონკრეტულ ვალდებულებებს საამშენებლო საწარმოო გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

მეორე უბნის დამკვრელმა ბრიგადიერებმა **ჭლიკაძემ, გაბედაძემ, იერხაძემ** კრებაზე [illegible] დარჩენილი საამშენებლო სამუშაოები მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ. ბრიგადირმა **გაბედაძემ** მიიღო ვალდებულება გეგმით მოცემული 0,88 კუბომეტრი ქვის „წყობის“ ნაცვლად შეასრულოს 1,25 კუბომეტრის წყობა. ასეთივე ვალდებულება მიიღო **გ. ხერხაძემ** და **ჭლიკაძემ.**

ერთიანი პარტიული დღე მეოთხე სამონტაჟო უბანში, ცხოველი აქტივობით ჩატარდა; მოხსენების გარშემო კამათში გამოვიდენ ინჟენერი ჩოგოვაძე, შეფმონტიორი ლევენტანი და სხვ. მათ შეიტანეს წინადადება მე-17 პარტყრილობისათვის მესამე აგრეგატის ამუშავების შესახებ. კრებამ მიიღო ეს წინადადება და დაავალა პარტუჯრედის ბიუროს ძირეულ პარტიულ რგოლებში ამ საკითხის ფართოდ დამუშავება. 8 დეკემბერს სამონტაჟოს ყველა საამქროში დამუშავდა საკითხი მესამე აგრეგატის ამუშავებისათვის ვადების დაზუსტების და მე-17 პარტყრილობისათვის დამთავრების შესახებ.

რიონჰესის პარტკომმა გაზეთ „რიონჰესის დამკვრელ“-ში უკვე გამოაქვეყნა ძირეული პარტორგანოების საანგარიშო - საგადარჩევო კამპანიის ჩატარების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს პარტჯგუფორგების საანგარიშო მოხსენების ჩატარებას 14 დეკემბრამდე, პარტუჯრედების არჩევნების დამთავრებას 16 დეკემბრისათვის, უჯრედის საანგარიშო მოხსენების და გადარჩევის ჩატარებას 28 დეკემბრამდე. რიონჰესის პარტიული კომიტეტის კონფერენცია მოწვეული იქნება 31 დეკემბერს საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის. რიონჰესის პარტკომმა უბნებს მიამაგრა 6 პასუხისმგებელი მუშაკი. გაზეთი „რიონჰესის დამკვრელი“ უკვე შეუდგა გადარჩევების შესახებ მასალების გაშუქებას. რედაქციამ უბნებთან ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით გამოყო საგუშაგოები; უბნის კედლის გაზეთები უკვე ჩაებენ მოსამზადებელ მუშაობაში.

ვალ. ლალიაშვილი.

მაღალი ხარისხის საზკვებით მივიდეთ ყრილობაზე

საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესების მხრივ მე-17 პარტყრილობას საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაცია გარკვეული მიღწევებით ხვდება. მაგრამ ეს მიღწევები კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ, მუშაობა უნდა გარდავქმნათ ბოლომდე. ამ მიზნით და აგრეთვე მე-17 პარტყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის ჩავატარებთ შემდეგ მუშაობას:

1. გავაუმჯობესებთ დამკვრელთა უპირატეს კვებას საქართველოს ყველა წამყვან სამრეწველო საწარმოში.
2. უზრუნველვყოფთ 1-ლი სიის მუშების 100 პროცენტს ცხელი საუზმით.
3. უზრუნველვყოფთ სასადილოების ქსელის მუშაობას სრული 24 საათის განმავლობაში და ღამის ცვლის მომსახურების გადაჭრით გაუმჯობესებას „150“ ჯგუფის საწარმოებში.
4. მოსადილეთა ძირითად კონტინგენტს ყრილობამდე გავადიდებთ კიდევ 5 პროცენტით.
5. შემოვიღებთ და განვავითარებთ სადილის ხარისხის შემოწმებას და სავალდებულო წუნდებას.

დაწესებულ ვადაზე ადრე შევადგენთ და საკავშირო ორგანოებს წარუდგენთ 1934 წლის საერთო და 1-ლი კვარტალის საკონტროლო ციფრებს საქართველოში.

ვკისრულობთ რა დასახელებულ ვალდებულებათა შესრულებას, ყრილობამდე დარჩენილ პერიოდს ვაცხადებთ დამკვრელად.

ყრილობის საუკეთესო შეხვედრისათვის სოცშეჯიბრებაში ვიწვევთ აზერბეიჯანის და სომხეთის სამომხმარებლო კოოპერაციის საზკვების სამმართველოებს.

ცეკავშირის პრეზიდიუმის
თავ-რის მოადგილე:
ორჯონიკიძე.
საზკვების უფროსი: **შ. გოგუა.**
პარტუჯრედის მდივანი:
მ. ბოკერია.

პოლიტგანყოფილებების მუშაკთა დელეგაცია

ა-კ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარესთან ამხ. მუსაბეკოვთან

9 დეკემბერს ამიერ-კავკ. სფსრ-ს სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **მუსაბეკოვმა** მიიღო აზერბეიჯანის სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებათა უფროსების თანაშემწეთა დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. **ფარზალი ახმედოვი** (სტალინის სახელობის საბჭოთა მეურნეობა) **ჯებრაილ ველიყეი** და **ნა[illegible]** (ნახიჩევანის სსრ), **ალესკეროვი** (ნორაშენი), **ა. სულთანოვი** (კასუმ-იზმაილოვის რაიონი), **სეიფულა-ზადე** (აგდამის რაიონი), **ალიევი** (ზანგელანი), **შაბანოვი** (შამქორი), **პოსტნიკოვი** (აგდამი), **ისკანდეროვი** (სალიანი), **ბაგიანი** (მთიანი ყარაბახის ავტ. ოლქი), **ბაგირ ბეკოვი** (ალი-ბაირამლი), **აბდულაევი** (ხაჩმასი), **რზაევი** (ყაზახი) და **ნასირლი** (აგჯაბედი).

ამხ. მუსაბეკოვმა დელეგაციის წინაშე დასვა მთელი რიგი კითხვები, რომლებიც შეეხებოდა კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკურ განმტკიცებას, კოლმეურნეობათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებს, აზერბეიჯანის სსრ-ს კოლმეურნეთა შორის უძრომობის ლიკვიდაციის მსვლელობას და სხ. ამხ. მუსაბეკოვს განსაკუთრებულად აინტერესებდა საკითხი, თუ როგორ სრულდება ამხ. სტალინის დირექტივა მილის და ყარაჯალის საბჭოთა მეურნეობების მებამბეობის სანიმუშო გამძღოლ მეურნეობებად გადაქცევის შესახებ.

გაცხოველებული საუბრის დროს პოლიტგანყოფილებათა მუშაკებმა ამხ. მუსაბეკოვს [illegible] მისცეს მის მიერ დასმულ ყველა კითხვაზე.

დელეგაციის სახელით ამხ. **ახვერდოვი** თხოვს ამხ. მუსაბეკოვს გააცნოს დელეგაციას პურის, ბამბის და სხვა სასოფლო - სამეურნეო კულტურების დამზადების ხაზით წარმოებული მუშაობის მსვლელობა ამიერ-კავკასიაში, საკოლმეურნეო მშენებლობის მდგომარეობა პოლიტგანყოფილებების შექმნასთან დაკავშირებით, აგრეთვე გააშუქოს საერთაშორისო მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი.

ამხ. მუსაბეკოვი აცნობს პოლიტმუშაკებს საერთაშორისო მდგომარეობის იმ საკითხებს, რომლებიც მათ აინტერესებთ და აღნიშნავს, რომ, საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის და ამხ. **სტალინის** ბრძნული ხელმძღვანელობის შედეგად, ჩვენმა დიპლომატიამ მოიპოვა ბრწყინვალე გამარჯვებანი, რაც დამყარებულია ჩვენს სამშვიდობო პოლიტიკაზე და საბჭოთა კავშირის კოლოსალურად გაზრდილ ძლიერებაზე, რომელიც განსაკუთრებით ნათლად ჩანს კაპიტალისტურ ქვეყნებში მძვინვარე განუწყვეტელი მსოფლიო ეკონომიური კრიზისის ფონზე.

შეეხო რა ამიერ-კავკ. სფსრ-ს სამეურნეო პოლიტიკური განმტკიცების საკითხებს, ამხანაგ მუსაბეკოვმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ აუცილებელია ზუსტად და დროიანად შესრულდეს ვალდებულებანი სახელმწიფოსათვის ბამბის, მარცვლეულის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების შესახებ.

თუ 1932 წელს ჩვენ თითქმის ყველა მაჩვენებლის მხრივ დიდად ვიყავით ჩამორჩენილი, სამაგიეროთ წელს ჩვენი ვალდებულებანი მარცვლეულის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების დარგში საგრძნობლად უკეთ სრულდება. მარცვლეულის ჩაბარების მხრივ გეგმა შესრულებულია ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალი ყველა რესპუბლიკის მიერ მხოლოდ რამოდენიმედ მოუთავებელია სათესლე და სადაზღვევო ფონდების შეგროვება მაგრამ ამ მხრივაც, უეჭველია, გეგმა მალე შესრულდება.

დღეს, ამხ. **ხანჯიანმა** გამოგზავნა დეპეშა, რომ სომხეთში ამ ფონდების გამოყოფის გეგმა უკვე შესრულებულია 100 პროცენტით.

ამხ. ბაგიროვმაც შემატყობინა ტელეფონით, რომ აზერბეიჯანში გეგმა ამ დღეებში იქნება შესრულებული.

იგივეა მოსალოდნელი საქართველოშიც.

მაგრამ ამ უმნიშვნელო ჩამორჩენამ საშუალება არ მისცა ამიერ-კავკასიას, სომხეთის გამოკლებით, მოხვედრილიყო იმ რესპუბლიკათა სიაში, რომლებმაც უკვე შეასრულეს პურის ჩაბარების წლიური გეგმა და უზრუნველყვეს თავი თესლით საგაზაფხულო თესვისათვის.

ჩვენთვის მეორე უმნიშვნელოვანესი საკითხია ბამბა, ამიერ-კავკასია არის საბჭოთა კავშირის მებამბეობის მეორე ბაზა.

მუშაობა ბამბის დარგში საკმაოდ კარგად მიმდინარეობდა, მაგრამ უკანასკნელ დროს ბამბის კრეფის ტემპები შენელდა და ვადაზე გეგმა ვერ შევასრულეთ. მხოლოდ სომხეთმა 5 დეკემბრისათვის გეგმა შეასრულა 102,5 პროცენტით, ხოლო აზერბეიჯანმა — 88,6 და საქართველომ—52,8 პროცენტით. მთელს ამიერ-კავკასიაში გეგმა შესრულებულია სულ 87,1 პროცენტით.

არსებული ცნობებით, ბამბის მოსავალი წელს კარგი იყო, ამიტომ ბამბის ჩაბარების გეგმის შეუსრულებლობა უნდა მიეწეროს მხოლოდ ჩვენს დაურაზმავობას.

ჩვენ ყოველი ზომა უნდა მივიღოთ, რათა მთელი ბამბა უახლოეს დღეებშივე მოვკრიფოთ. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ უზრუნველყოფთ ბამბის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას, შეაგროვებთ მინდვრებიდან, როგორც ამხ. ბერიამ მართებულად მიგვითითა, მთელ ბამბას უკანასკნელ კოლოფამდე. ბამბის გეგმის უსწრაფესი შესრულება იქნება თქვენი საუკეთესო საჩუქარი პარტიის მე-17 ყრილობისადმი.

თამბაქოს გეგმა ცუდად როდი სრულდება. აზერბეიჯანში იგი შესრულებულია 82 პროცენტით, სომხეთში — 65 და საქართველოში — 64 პროცენტით. თუ გასულ წელს 1 დეკემბრისათვის ჩვენ გვქონდა (აფხაზეთის გამოკლებით) 34 პროცენტი, სამაგიეროდ წელს უკვე გვაქვს 68,6 პროცენტი, და გეგმა უეჭველად ვადაზე იქნება განხორციელებული. განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აწევთ აფხაზეთის მუშაკებს, რომელთაც ვადაზე უნდა ჩაგვაბარონ 7.000 ტონა მაღალხარისხოვანი და საექსპორტო თამბაქო.

ჩაის უხეში ფოთლის დამზადების გეგმა შესრულებულია 94,8 პროცენტით, ძირითადი ფოთლისა — 110,6 პროცენტით.

მანდარინის დამზადების ცენტრალიზებული გეგმა შესრულებულია 100 პროცენტით. ვენახის ხაზით გეგმა შესრულებულია 100 პროცენტით.

ერბო-ყარაქის გეგმა შესრულებულია 182 პროცენტით, 1932 წელს კი ამ დროისათვის გეგმა განხორციელებული იყო 82 პროცენტით.

ყველა დანარჩენი კულტურის ხაზით მიმდინარე წლის მაჩვენებლები გასული წლისაზე უფრო მაღალია, მაშასადამე, ამ წლის მაჩვენებლები ცუდი როდია.

კითხვაზე, თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა ნავთის მრეწველობაში, ამხ. მუსაბეკოვი უპასუხებს:

სამი კვარტალის განმავლობაში ნავთის გეგმა შესრულებულია. გადიდებული წლიური გეგმაც წარმატებით ხორციელდება.

აზერბეიჯანელი ამხანაგები ახლა ამ მიმართულებით მუშაობენ და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ, საკ. კ. პ. (ბ) ა-კ. სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით და ამხ. ბერიას მეთაურობით, აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ც. კ-ის და ბაქოს კ-ის ხელმძღვანელობით, ბაქოს პროლეტარიატი ღირსეულად დაძლევს მის წინაშე მდგარ ამოცანებს და აზნავთის გეგმა გადაჭარბებით იქნება შესრულებული.

საკავშირო სახკომსაბჭოს მიერ 1934 წლისათვის მიღებული გეგმის თანახმად, ბაქოს პროლეტარიატმა უნდა უზრუნველყოს 22 მილიონი ტონა ნავთის ამოღება. ბაქოელმა ამხანაგებმა უკვე ახლავე უნდა გააჩაღონ მოსამზადებელი მუშაობა, რომ მთლიანად უზრუნველყონ 1934 წლის გეგმის შესრულება.

რაც შეეხება საქნავთს, მის მიერ უკვე გამორკვეულია ის რაიონები, რომლებსაც სამრეწველო მნიშვნელობა აქვთ, და ამჟამად გაჩაღებულია მუშაობა ამ რაიონების ათვისებისათვის. ყველა საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ საქნავთი გახდება ამიერ-კავკასიის მეორე მძლავრი ნავთიანი რაიონი.

შემდეგ ამხ. მუსაბეკოვი ჩერდება საკოლმეურნეო მშენებლობაზე:

„ამიერ-კავკასიაში, — ამბობს ის,—კოლექტივიზირებულია გლეხურ მეურნეობათა 48 პროცენტი, ამასთან ტექნიკურ კულტურათა რაიონებში კოლექტივიზაცია 68—70 და უფრო მეტ პროცენტს აღწევს“.

კითხვაზე, თუ რა პერსპექტივებია მსუბუქი მრეწველობის ხაზით მშენებლობის მხრივ 1934 წელს, ამხ. მუსაბეკოვმა განაცხადა, რომ დასახულია საფეიქრო ფაბრიკების გაფართოება განჯასა და ლენინაკანში, აგრეთვე საქართველოში.

მსუბუქი მრეწველობის გაჩაღებული მშენებლობა სავსებით შეესაბამება პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ მეორე ხუთწლედში მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია სულ მცირე ერთი-ორად და სამად უნდა გადიდდეს.

ამხ. სტალინმა კოლმეურნეთა ყრილობაზე წამოაყენა ლოზუნგი კოლმეურნეების შეძლებულებად გადაქცევის შესახებ, ხოლო რაკი კოლმეურნენი თავიანთ მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების გზით მიემართებიან, ცხადია, რომ გაიზრდება მათი კულტურულ - საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებაც, რომლებიც ჩვენ უნდა დავაკმაყოფილოთ.

ამიტომ არის, რომ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მსუბუქი მრეწველობის და მომარაგების სახალხო კომისარიატის მრეწველობის განვითარებას.

შემდეგ ამხ. ახმედოვმა მიმართა ამხ. მუსაბეკოვს თხოვნით დაეხმაროს სტალინის სახელობის საბჭოთა მეურნეობას ბარდანების აუცილებელი რაოდენობით უზრუნველყოფაში, აგრეთვე მიაქციოს ყურადღება რკინის გზაზე ბამბის გაგზავნის მხრივ არსებულ სიძნელეებს.

შემდეგ ამხ. პოსტნიკოვმა (აგდამი) განაცხადა, რომ ზარბაჩის კოლმეურნეობა განსაკუთრებით იყო დანაგვიანებული. პარტიულ-კომკავშირული ორგანიზაცია არა თუ მოშლილი იყო, არამედ იგი მთლიანად კლასობრივი მტრის გავლენის ქვეშ მოექცა.

ჩვენ ბოლშევიკურად მოვკიდეთ ხელი ამ კოლმეურნეობას, რის შედეგად კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა არა მარტო ბამბის, არამედ მზრალად ხვნის გეგმაც. ამჟამად კოლმეურნეობამ შეიძინა ახალი ცხენები; კოლმეურნეობაში მუშაობა ორგანიზებულია აგროგანრიგის მიხედვით, პარტიულ - კომკავშირული აქტივი ამუშავებს პარტიის ყველა გადაწყვეტილებას, ეს კოლმეურნეობა იმყოფება შეძლებული ცხოვრების გზაზე. შრომა-დღის ღირებულება გაიზარდა, კოლმეურნემ შრომა-დღეში მიიღო 12—12 კილოგრამი, ხოლო მისმა ოჯახმა წელიწადში გამოიმუშავა 400—600 შრომა - დღე. ამავე კოლმეურნეობაში, პოლიტგანყოფილების კარგი მუშაობის მეოხებით, ამჟამად ჩვენ გვაქვს დიდი მიღწევები. ასეთი კოლმეურნეობა ჩვენში რამოდენიმეა.

ამხ. **რზაევი** (ყაზახი), და ამხ. **ნასირლი** (აგჯაბედი), კისრულობენ ვალდებულებას უახლოეს დღეებში მთლიანად შეასრულონ ბამბის კრეფა.

შემდეგ ამხ. **მუსაბეკოვმა** აღნიშნა: „უნდა ავიღოთ მტკიცე კურსი იმაზე, რომ უახლოეს დღეებში დავამთავროთ გეგმის შესრულება 100 პროცენტით. შარშანწინ ს.ს.რ. კავშირის ცაკის მეორე სესიისათვის ბამბის გეგმა შესრულებული იყო დაახლოებით 90 პროცენტით, უზბეკისტანში კი—55 პროცენტით. თავის გამოსვლაში ამხ. **მოლოტოვმა** აღნიშნა, ამიერ-კავკასია წინ მიდის, ხოლო შუა-აზიის გამძღოლი რესპუბლიკა კუდში მიჩანჩალებსო. ახლა კი უზბეკისტანმა გაგვისწრო. ეჭვი არ შემდის, რომ ჩვენში ბამბა არის და რომ ჩვენ მას მოვკრეფთ, მაგრამ თქვენ უნდა შეგნოთ გეგმის ვადაზე შესრულების აუცილებლობა“.

დელეგაციამ მთლიანად მისცა მტკიცე დაპირება, რომ ბამბის მოკრეფის გეგმა მის მიერ შესრულებული იქნება.

დავიცვათ ციტრუსოვანთა ნარგავები ქარისა და ყინვებისაგან

დრო არ ითმენს

სუბტროპიკულ კულტურათა შორის მანდარინი და ლიმონი ყველაზე უფრო სათუთი მცენარეა. ლიმონის და მანდარინის ნარგავები საერთოდ და განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის დროს, ვერ იტანს დიდ ყინვას და სიცივეს. თუ ყინვების დაწყებამდე არ ჩატარდა მცენარეთა შეხვევა (შეხვევა ჩვეულებრივ ტარდება გვიმრით, ჩალით და სხვ.). 3—5 გრადუსი სიცივე აზიანებს მას და ზოგიერთ შემთხვევაში ახმობს კიდეც.

როგორც ვხედავთ ლიმონისა და მანდარინის შეხვევა საზამთრო სამუშაოებს შორის დიდ საპასუხისმგებლო საქმეს წარმოადგენს. დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში უკვე მოვიდა თოვლი და სიცივეები დაიჭირა, მაგრამ ციტრუსოვან ნარგავთა შეხვევა სუსტად მიმდინარეობს. ლიმონ-მანდარინის ტრესტს არავითარი ცნობები არ მოეპოვება იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს ადგილებზე მანდარინისა და ლიმონის შეხვევა.

მთელი რიგი საბჭოთა მეურნეობები ჯერ კიდევ არ არიან მზად რომ დაიწყონ მანდარინისა და ლიმონის შეხვევა. მაგალითად: 1 დეკემბრამდე ლიმონ-მანდარინის საბჭოთა მეურნეობებს უნდა დაემზადებინა 1796 ტონა შესახვევი მასალა, ფაქტიურად ეს გეგმა აღნიშნულ რიცხვისათვის შესრულებული იყო 45 პროცენტით. **ურეკის** საბჭოთა მეურნეობას უნდა დაემზადებინა 493 ტონა, მაგრამ ამ მხრივ მუშაობა პირველ დეკემბრამდე არ იყო დაწყებული. **მუხა-ესტატეს** საბჭოთა მეურნეობამ 354 ტონიდან დაამზადა 10 ტონა შესახვევი მასალა, რაც შეადგენს გეგმის მხოლოდ 2,8 პროც. კოხორას საბჭოთა მეურნეობას (აფხაზეთი) არავითარი ცნობები არ გადმოუგზავნიათ შესახვევი მასალის დამზადებაზედ.

ამ მდგომარეობას დაუყოვნებლივ უნდა მიექცეს ყურადღება. თვითეულ საბჭოთა მეურნეობამ და კოლმეურნეობამ უნდა მიიღოს ყოველგვარი ზომები იმისათვის რომ არც ერთი ძირი მანდარინი არ დაზიანდეს ყინვებისაგან. ფართოდ გამოიყენონ მუშა-ხელის, შესახვევი და შესაკრავი მასალის ადგილობრივი რესურსები და უზრუნველყონ ნარგავების შეხვევის დაჩქარებით დამთავრება.

ყინვები უმთავრესად აზიანებს მანდარინის და ლიმონის იმ ნაწილს, სადაც ნამყენი საძირესთანაა შეერთებული. მაგრამ დიდი ყინვები აზიანებს აგრეთვე ხის ტანსაც. ასეთ შემთხვევაში საჭიროა წაესვას მას კირნარევი თიხა.

ზამთრის პერიოდში განსაკუთრებით უნდა გაძლიერდეს მეთვალყურეობა ციტრუსების თვითეულ ძირზე. თბილ დღეებში საჭიროა შეხვეული მანდარინი გაიხსნას, რომ ამით მივსცეთ მცენარეს ნორმალური განვითარების საშუალება, მაგრამ ღამეობით იგი არ უნდა დარჩეს ღიათ, რადგან შესაძლებელია მოსალოდნელმა ყინვებმა (სუბტროპიკების რაიონებში. ხშირად, როცა დღე თბილა, ღამეობით ძლიერ ყინვებს იჭერს) დააზიანოს მცენარე.

ზამთრის პერიოდში ლიმონისა და მანდარინის პლანტაციების დაცვასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე სუბტროპიკულ კულტურათა სანერგეების მოვლას. ამჟამად საბჭოთა მეურნეობებში არის 35.000 ძირი ორწლიანი ლიმონის ნერგი, რომელიც გამოყენებული იქნება მომავალი წლის გაზაფხულზე. წელს ჩატარდა აგრეთვე მყნობა: ლიმონი—72.000 ძირი, მანდარინი—191.000 ძირი, გრეიფრუტი—3.368 ძირი, ფორთოხალი — 850 ძირი და სხვ.

საშემოდგომო სამუშაოების ძირითადი გეგმები მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობებში ჯერ კიდევ არ არის შესრულებული. გეგმის მიხედვით საბჭოთა მეურნეობებში უნდა ჩატარებულიყო ახალი ფართობების გაწმენდა და ამოძირკვა 100 ჰექტარზე, ფაქტიურად ჩატარდა 12 ჰექტ. უნდა ამოღებულიყო აგრეთვე ქარსაფარი ზოლებში ხეების გასაშენებლად 26.750 ორმო, ეს გეგმა დეკემბრის პირველ რიცხვისათვის შესრულებული იყო 36,8 პროცენტით.

ადგილობრივ პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ გადამჭრელი ზომები იმისათვის, რომ ციტრუსების დარგში საზამთრო სამუშაოების გეგმები მთლიანად იქნას შესრულებული, რომ ამით უზრუნველვყოთ ციტრუსოვანი კულტურების ნარგავთა თვალსაჩინო ზრდა და მოსავლიანობის შემდგომი გადიდება.

ტ. აცანელი.

სამარცხვინოდ ჩამორჩენილი მოწინავის გვერდით

(ქობულეთი. საკ. კორ.)

ამხ. ლ. **ბერიამ** აჭარისტანის და აფხაზეთის პარტორგანიზაციებს მისცა მითითება, რომ მანდარინის მოსავლის დროულად მოკრეფის, ჩალაგების, დაცვის და გადაგზავნის უზრუნველყოფასთან ერთად, დაუყონებლივ გააჩაღონ მოსამზადებელი საშემოდგომო მუშაობა ციტრუსების დარგში იმ ვარაუდით, რომ 1934 წლის გაზაფხულიდან მიაღწიონ ციტრუსოვანთა კულტურების ნარგავთა თვალსაჩინო ზრდას.

საქართველოს კ.პ. (ბ) აჭაროლქკომმა ამხ. ბერიას ამ მითითების საფუძველზე დაავალა ადგილებს, რომ 1930 წლიდან დღემდე მოშენებული ლიმონის, ფორთოხლის და მანდარინის ყველა ნარგავი პირველი დეკემბრისათვის ყოველ მიზეზს გარეშე ყოფილიყო შეხვეული ისე, რომ მოსალოდნელ ყინვებს ის არ დაეზიანებია.

ქვირიკეს ლიმონ-მანდარინის საბჭოთა მეურნეობის დირექციამ, პარტიულმა და პროფორგანიზაციებმა ეს მითითება სასახელოდ შეასრულეს. სოცშეჯიბრების და დამკვრელობის ფართოდ გაშლით მუშათა საწარმოო აქტივობის გაძლიერების შედეგათ ქვირიკეს საბჭოთა მეურნეობამ ასი პროცენტით შეასრულა ციტრუსოვანთა ნარგავების საზამთრო სამუშაოების გეგმა. ლიმონ-მანდარინის ახალგაზრდა ნარგავების შეხვევა 65 ჰექტარზე მთლიანად ჩატარდა. მანდარინის პლანტაციების რემონტი 8 ჰექტარზე შესრულებულია 100 პროცენტით, ციტრუსოვანთა პლანტაციების ნიადაგის გაფხვიერება 64,5 ჰექტარზე 2-ჯერ მთლიანად ჩატარებულია, 64,5 ჰექტარ მანდარინის პლანტაციებში შეტანილია მინერალური სასუქი 100 პროცენტით და 8-ჯერ შეწამვლის გეგმა შესრულებულია 100 პროცენტით.

მაგრამ **ჩაქვის** საბჭოთა მეურნეობაში სამარცხვინო მდგომარეობაა, მან ზემდგომ ორგანოების მითითება დღემდე კიდევ არ შეასრულა. ციტრუსოვანთა ახალგაზრდა ნარგავების შეხვევის გეგმა შეუსრულებელია, თოვლი და ყინვები კი უკვე დაიწყო. ამიტომ სულ ადვილი შესაძლებელია ზამთრის სუსხმა გაანადგუროს ციტრუსოვანთა ახალგაზრდა ნარგავები

გარდა ამისა ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაში დაუშვებლად ჭიანურდება სადრენაჟო თხრილების გასუფთავება, რის გამოც შესაძლებელია ციტრუსების პლანტაციებში წყალი დაგუბდეს, გაიყინოს და გაახმოს ნარგავი.

ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის დირექციამ, პარტიულმა და პროფორგანიზაციებმა. სასწრაფოდ უნდა გარდაქმნან მუშაობა და უახლოეს დღეებში დაამთავრონ მანდარინის ახალგაზრდა ნარგავების შეხვევა ჩალით, ისლით და გვიმრით.

არ. ხარაზი.

ფსირცხის (აფხაზეთი) საბჭოთა მეურნეობის მუშა-ქალი **ფროლოვა** სისტემატიურად გადაჭარბებით ასრულებს მანდარინის კრეფის გეგმებს.

მანდარინის დამზადების გეგმა წარმატებით სრულდება

ბათომი, (საკ. კორესპ). 12 დეკემბრისათვის აჭარისტანმა მანდარინის დამზადების გეგმა შეასრულა 97.2 პროც. სახელმწიფომ ჩაიბარა 65.154,227 ცალი მანდარინა.

ბათომის რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა ჩაბარების გეგმა. გეგმით ბათომის რაიონში უნდა დამზადებულიყო 24.850,000 ცალი. უკვე ჩაბარებულია 28,947,053 ცალი, რაც გეგმის 116 პროცენტს შეადგენს.

ჩაბარების დავალება პირველად შეასრულეს ახალშენის (თავმჯდომარე ამხ. დურსუნ მჟავანაძე), და კაპანდიბის (თავმჯდომარე ამხ. შ. ქავთარაძე) სოფსაბჭოებმა.

ქობულეთის რაიონში ჩაბარებას განიცდიან მუხა-ესტატეს, ლელვას, დაგვას და ჩაქვის სოფსაბჭოები.

ხუცუბნის სოფსაბჭომ 12 დეკემბრისათვის სახელმწიფოს ჩააბარა 15 ათასი ცალი ლიმონი. ლიმონისა და ფორთოხლის კრეფა შეუწყვეტლივ მიმდინარეობს.

მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა სახელმწიფოს **გეგმის გარეშე აბარებს 7 ათას ცალ ფორთოხალს.**

ბრძოლა ფინგეგმის ვადამდე შესრულებისათვის

ფოთის რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა ნაკისრი ვალდებულება

მიბაძეთ გამარჯვებულთა მაგალითს

ფოთის რაიონმა სოცშეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება პირნათლად შეასრულა. მოსახლეობის ფულადი სახსრების მობილიზაციის გეგმა ვადაზე 20 დღით ადრე გადაჭარბებით შეასრულა.

ფოთის რაიონს არ ჩამორჩნენ ლაგოდეხის, ახალციხის, ადიგენის, ტყიბულის, ხარაგოულის, და ოზურგეთის რაიონები, რომელთაც ვადაზე 20 დღით ადრე, გადაჭარბებით შეასრულეს მოსახლეობის ფულადი სახსრების მე-4 კვარტალის გეგმები.

რა მდგომარეობაა დანარჩენ რაიონებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში?

ფინანსთა სახკომისარიატში მიღებულ წინასწარი ცნობების თანახმად (სამხ.-ოსეთიდან და ჩოხატაურის რაიონიდან ცნობები დეკემბრის პირველი დეკადის შედეგების შესახებ 14 დეკემბერს კიდევ არ იყო მიღებული), 10 დეკემბრისათვის საქართველოში ფულადი სახსრების მობილიზაციის გეგმა 86,2 პროცენტით იყო შესრულებული.

სოცშეჯიბრების პირობის თვალსაზრისით გეგმის ეს შესრულება დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება. განსაკუთრებით ჩამორჩენილია **ზემო-სვანეთის** რაიონი, რომელსაც 10 დეკემბრისათვის გეგმის მხოლოდ 19,4 პროცენტი ჰქონდა შესრულებული. ჩამორჩენილი არიან აგრეთვე **ხონის, ჩხოროწყუს, სენაკის, სამტრედიის, სტალინისის, კასპის, რაიონები,** რომლებსაც 10 დეკემბრისათვის გეგმის 50 პროცენტითაც კი არ ჰქონდათ შესრულებული.

ორგანიზაციების მიხედვით ყველაზე წინ მიდიან ფინსახკომის ორგანოები, რომლებსაც 10 დეკემბრისათვის გეგმა ვადაზე 20 დღით ადრე 120 პროცენტით ჰქონდათ შესრულებული.

შემნახველი სალაროები და სოცმიწბანკი ისევ ჩამორჩენილი არიან. შემნახველ სალაროებს შესრულებული ჰქონდათ გეგმის 57,8 პროც., ხოლო სოცმიწბანკს — 68,4 პროც. შემნახველ სალაროებში განსაკუთრებით ჩამორჩენილია სახელმწიფო სესხის ანგარიშში თანხების აკრეფა სოფლად (შესრულებულია გეგმის 46,9 პროც.).

რაც შეეხება ანაბრებს, ამ მხრივ შემნახველ სალაროებს ეხლა მიღწევები აქვთ (კვარტალის დამდეგიდან ანაბრების ჯამი გადიდებულია 1,424 ათასი მანეთით), ეს მიღწევა შემნახველმა სალაროებმა მომავალში კიდევ უფრო უნდა განამტკიცონ გეგმის შესრულების მხრივ ძალზე ჩამორჩენილია აგრეთვე **სახდაზღვევა,** რომელსაც 7,1 მილიონ მანეთიდან ათი დეკემბრისათვის მხოლოდ 4,9 მილიონი ჰქონდა აკრეფილი.

სოცშეჯიბრებით დანიშნული ვადა ამოიწურა. თვითეულმა ორგანიზაციამ, სოფელმა, კოლმეურნეობამ, რაიონმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს, რომ მეოთხე კვარტალისათვის დასახულ მოსახლეობის ფულადი სახსრების მობილიზაციის გეგმა უახლოეს დღეებში და მაღალხარისხოვნად შეასრულოს, რომ გამარჯვების პატაკით წარუდგეს მე-17 პარტყრილობას და საკავშირო - საფინანსო წითელ დაფაზე საპატიო ადგილი დაიჭიროს.

წლიური გეგმა შესრულებულია

ვკისრულობთ დამატებით ვალდებულებას

მოსახლეობის სახსრების მობილიზაციის მიმდინარე წლის გეგმის თანახმად ქ. ტფილისის სტალინის სახელობის რაიონს უნდა აეკრიფა სულ 14.252 ათასი მანეთი. ფაქტიურად 15 დეკემბრისათვის აკრეფილია 14.523 ათასი მანეთი, გეგმა შესრულებულია 101,9 პროც.

რაიონი კისრულობს ვალდებულებას წლის დამლევამდე დამატებით აკრიფოს 700 ათასი მანეთი.

რაიკომის მდივანი **ს. არუთინოვი.**
რაიაღმასკომის თავმჯდომარე **დ. გერმანოზაშვილი.**

ჩვენი პასუხი საქმით

(ტელეგრაფით ხარაგოულიდან)

ფოთის რაიონის გამოწვევას მოსახლეობის ფულადი სახსრების მობილიზაციის გეგმის ვადამდე (15 დეკემბრისათვის) შესრულების შესახებ, **ხარაგოულის რაიონმა** საქმით უპასუხა.

პარტ-მასობრივი მუშაობის გაშლით, შრომის სოციალისტური ფორმების ფართოდ გამოყენებით პარტიულ და საკოლმეურნეო აქტივის დარაზმვით და რევოლუციურ კანონიერების მტკიცედ დაცვით, **ხარაგოულის რაიონმა მოსახლეობის ფულადი სახსრების მობილიზაციის გეგმა (მეოთხე კვარტალის) 10 დეკემბრისათვის მთლიანად შეასრულა.** მეოთხე კვარტალისათვის გათვალისწინებულ 340 ათასი მანეთის ნაცვლად აკრეფილი იყო 348,000 მანეთი, გეგმის 102,3 პროც.

ამავე რიცხვისთვის განსაზოგადოებულ სექტორს შესრულებული ქონდა გადასახადების გეგმა 91 პროცენტი.

წლის განმავლობაში რაიონს უნდა აეკრიფა სულ 1.376 ათასი მანეთი, ფაქტიურად 10 დეკემბრისათვის აკრეფილი იყო 1.833 ათასი მანეთი, გეგმა შესრულებულია 133 პროცენტით.

მუშაობა გრძელდება გეგმის კიდევ მეტი გადაჭარბებით და უკეთ შესრულებისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) ხარაგოულის რაიკომის მდივანი — **ვ. ჩხეიძე**
რაიაღმასკომის თავმჯდომარე
შარიქაძე
რაიფინგანის გამგე —
ვ. ხუხუნაიშვილი

ფულადი სახსრების მობილიზაცია 10 დეკემბრისათვის

(ათას მანეთებში)

რაიონები	აკრეფილია 1 ოქტომბრიდან 10 დეკემბრამდე	მე-4 კვარტალის გეგმა შესრულებულია %-ით
ტფილისის რაიონში	10751	76,6
ბორჩალოს	682	91,2
ბაშკიჩეთის	276	83,3
წალკის	221	56,2
ლიუქსემბურგის	512	78,7
საგარეჯოს	328	52,1
ყაზბეგის	91	63,6
თიანეთის	115	50,4
აღბულაღ-მანგლისის	383	69,2
დუშეთის	282	74,2
თელავის	767	54,4
სიღნაღის	1170	2,6
გურჯაანის	978	68,6
ლაგოდეხის	909	102,9
ყვარელის	829	94,3
გორის	965	63,9
ბორჯომის	393	82,3
კასპის	249	42,4
სტალინისის	669	46
ახალქალაქის	548	66,7
ბოგდანოვკის	189	66
ახალციხის	751	125,7
ადიგენის	392	108,5
ტოლოშის	250	67,9
ქარელის	210	66,6
აფხაზეთში	3723	74,7
აჭარისტანში	2474	86,2
ქუთაისის რაიონში	1688	84,1
ზესტაფონის	645	68,2
სამტრედიის	382	40,6
ჭიათურის	479	71
ამბროლაურის	485	81,6
წალდათის	258	71,4
ვანის	220	50,5
ტყიბულის	370	100
ონის	286	65,8
ჩხარის	355	20,1
ქვ. სვანეთის	40	51,2
ცაგერის	226	79,5
ხარაგოულის	348	102,3
ხონის	313	49,2
სენაკის	376	63,5
მარტვილის	305	55,3
აბაშის	285	68,6
ზუგდიდის	577	64,2
ჩხორო-წყუს	126	46,3
წალენჯიხის	218	60,5
ხობის	138	45,8
ოზურგეთის	594	100,3
ლანჩხუთის	328	89
ზემო-სვანეთის	14	19,4
ფოთის	434	118,5

დეკემბრის პირველ დეკადაში ფულადი სახსრების მობილიზაციის შედეგების შესახებ, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქიდან და ჩოხატაურის რაიონიდან 14 დეკემბერს ცნობები მიღებული არ იყო.

მოვსპოთ ჩამორჩენა ზამთრისათვის ტრანსპორტის მომზადებაში

ტრანსპორტზე სამუშაოდ მოსულ კოლმეურნეებს გაუწიოთ კარგი ტექნიკური ხელმძღვანელობა

ა.-კ. რკ. გზა მოუმზადებელი შეხვდა ზამთარს

ა.-კ. რკ. გზის სამეურნეო ხელმძღვანელ მუშაკებს თავის დროზე მიეცათ გაფრთხილება, რომ გაეჩაღებინათ მზადება ზამთრისათვის. განსაკუთრებით გზის სალიანდაგო დარგს (უფროსი გ. დანდუროვი) ევალებოდა ეზრუნა თოვლის ნამქერების მხრივ სახიფათო უბნების დროულად დაცვაზე, ასეთ ადგილებში უნდა დაედგათ სათანადო ფარები, მოემზადებინათ თოვლმწმენდი მანქანები. შეეგროვებინათ მუშა-ხელი და სხვა.

მაგრამ პირველმა თოვლმა, ქარბუქმა და ყინვებმა ცხადჰყო, რომ გზა ზამთრისათვის მზად არ არის. ამიერ-კავკასიაში პირველი თოვლი 30 ნოემბერს მოვიდა. აზერბეიჯანში მას ქარბუქი მოჰყვა. ამან მთელი თავისი სიცხადით გამოააშკარავა გზის ზამთრისათვის მოუმზადებლობა, აღმოსავლეთ უბანზე გზა მთელ რიგ ადგილებში ნამქერმა აავსო, მატარებლების მოძრაობა შეწყდა. 30 ნოემბერს დაწყებული ქარბუქი და ნამქერი სამი-ოთხი დღის განმავლობაში გრძელდებოდა და ამ ხნის განმავლობაში ბაქოდან არც ერთი მატარებელი არ წამოსულა. ჩაიშალა ნავთის გადაზიდვის ნოემბრის გეგმა, იყო დღეები, როდესაც გეგმით დასახულ 988 ცისტერნის ნაცვლად ნავთის ჩასხმა დღე-ღამეში ათეული ცისტერნით განისაზღვრებოდა. ეს ნამქერების მიზეზით მოძრაობის შეწყვეტის შედეგი იყო, შეუძლებელი შეიქმნა ბათომიდან დაცლილი ცისტერნების ბაქოში მიწოდება.

ზამთრისათვის განსაკუთრებით მოუმზადებელი გზის მესამე რაიონი აღმოჩნდა და ეს მაშინ, როდესაც სალიანდაგო დარგის ხელმძღვანელები დანდუროვი, მხითაროვი და სხვები არწმუნებდნენ ყველას, რომ აქ ყველაფერი რიგზეა, გზა მზად არის ზამთრისათვისო. ქარბუქმა კი პირველსავე დღეს გამოააშკარავა ამ „რწმუნების“ სრული უსაფუძვლობა, მისი თვალის ახვევის ხასიათი. ნამქერების მხრივ ყველაზე სახიფათო უბნები ბალაჯარა-ხურდალანი და აჯიქაბული-ბაქო არ იყო დაცული ფარებით. თოვლმწმენდები თოვლთან ბრძოლისათვის მოუმზადებელი აღმოჩნდნენ.

სალიანდაგო დარგის ზამთრისათვის მოუმზადებლობის შედეგად გამოწვეული იყო ქარბუქის დღეებში 19 სახალხო, სატვირთო სამარშრუტო მატარებლების გაჩერება 40 საათამდე. ნავთის ჩასხმა ბაქოში 988-დან 30 ნოემბერს 140-მდე დაეცა.

ასეთი ზიანი მიაყენა პირველმა თოვლმა ა.-კ. რკინის გზას კერძოდ და სახალხო მეურნეობას საერთოდ.

პირველმავე თოვლმა აშკარა გახადა, რომ გზის სალიანდაგო დარგში ჯერ კიდევ არ გარდაუქმნიათ მუშაობა პარტიისა და ხელისუფლების დირექტივების საფუძველზე, იმ მითითებათა საფუძველზე, რომელიც დასახეს პოლიტგანყოფილებებმა ზამთრისათვის მომზადებისა და თოვლთან ბრძოლისათვის.

საჭირო მუშა-ხელის შეგროვების მხრივ რკინის გზას მთავრობა ეხმარება, ამის მაჩვენებელია ა.-კ. სახკომსაბჭოს უკანასკნელი დადგენილება. ამ საქმეშივე გზის სამეურნეო მუშაკებს ეხმარებიან სატრანსპორტო პოლიტგანყოფილებები, რომლებიც სდებენ სოციალისტურ ხელშეკრულებებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებებთან ტრანსპორტისათვის საკოლმ. დახმარების შესახებ და ს. ა. ერთი სიტყვით, შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ გზა სავსებით მომზადებული შეხვედროდა თოვლის ნამქერებთან და წყალდიდობასთან ბრძოლას. რამდენად გამოიყენებენ ამ დახმარებას სამეურნეო მუშაკები!? ეს მათი მოქნილობის ოპერატიულობის საქმეა.

ამ მხრივ მუშაობა დაწყებულიც არ არის, მიდიხართ მატარებლით და ლიანდაგის გასწვრივ ხედავთ, რომ მთელ რიგ ადგილებში დადგმულია და იდგმება თოვლის ნამქერებისაგან ლიანდაგის დასაცავი ფარები, ამ საქმეზე კოლმეურნეები მუშაობენ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ დისტანციაზე ეს მუშაობა უხეიროდ მიმდინარეობს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს გზის სალიანდაგო დარგის მე-16 დისტანცია (უფროსი **პრუსეცკი**), სადაც ამ მოკლე ხნის განმავლობაში ორჯერ მოგვიხდა გავლა. პირველად ამ დისტანციაზე 1—2 დეკემბერს გავიარეთ, მაშინ მიმდინარეობდა ფარების დადგმა; მეორედ 5—6 დეკემბერს რომ ჩამოვიარეთ, ვნახეთ, რომ ძლიერ ქარს ბევრ ადგილას სოლანლუღსა, კუმისსა და სანდარის შორის ეს ფარები მოეგლიჯა და მიწაზე ეყარა. უხდებოდათ ერთხელ შესრულებულ საქმის ხელმეორედ გაკეთება.

აშკარაა, აქ ადგილი ჰქონდა სამუშაობისადმი სუსტ ტექნიკურ ხელმძღვანელობას, რის გამოც შრომა, ენერგია და თანხები უბრალოდ დაიხარჯა.

ასეთი „მზადება“ თოვლთან საბრძოლველად ვერავითარ ნაყოფს ვერ [illegible]. რაიონები და კოლმეურნეობები აწვდიან ტრანსპორტს მუშა-ხელს, ასეთი დახმარება მისთვის მომავალში, უნდა ვიფიქროთ, რომ კიდევ უფრო გაძლიერდება, მაგრამ თუ სოფლიდან მოსული მუშა-ხელი მოკლებული იქნა დისტანციის უფროსების და გზის ოსტატების ტექნიკურ ხელმძღვანელობას, მაშინ შრომა ტყვილად დაიხარჯება, ხალხი მოცდება და გზაც ვერავითარ სარგებლობას ვერ ნახავს. საკმარისი იქნება ერთი ძლიერი ქარის ამოვარდნა, რომ ტექნიკური მეთვალყურეობის გარეშე დადგმული ფარები მიწაზე დაწვეს.

ამიტომაც, აუცილებელ პირობას შეადგენს, რომ სალიანდაგო დარგის სპეციალისტებმა შესაფერისი ტექნიკური ხელმძღვანელობით უზრუნველჰყონ კოლმეურნეობებიდან და სოფლებიდან ტრანსპორტზე დასახმარებლად მოსული ძალა.

მიღებული უნდა იქნეს ყველა ზომა, რომ აღარ განმეორდეს ის ამბები, რომელსაც დეკემბრის პირველ დღეებში ჰქონდა ადგილი გზაზე, თოვლმა არც ერთი წუთით არ უნდა შეაფერხოს მატარებლების მოძრაობა.

ან. კელენჯერიძე.

ზამთრისათვის მზადება მხოლოდ ზამთარში გაახსენდათ

(ხაშური, საქ. კორესპონდენტისაგან)

ა.-კ. რკ. გზის სალიანდაგო მეურნეობის მე-5 და მე-6 დისტანციები დაგვიანებით შეუდგენ ზამთრისათვის მზადებას, გზის დასავლეთ უბანზე ზამთრის პერიოდში სწორედ ეს დისტანციები წარმოადგენენ ყველაზე სახიფათო ადგილებს სურამის უღელტეხილი, ბორჯომ-ბაკურიანის ხეობა, ქართლის ველები). დისტანციების ხელმძღვანელებს (**ხაჩიძე და გაჩეჩილაძე**), დაავიწყდათ ეს გარემოება და ამით უნდა აიხსნას, რომ ისინი დაგვიანებით (ზამთარში) შეუდგენ ზამთრისათვის მზადებას, მათ წინასწარ არავითარი მუშაობა არ უწარმოებიათ. 5 დეკემბრამდე კი თავიც არვის შეუწუხებია მუშახელის შეგროვებაზე და ეს ალბად არც მაშინ გაახსენდებოდათ, რომ თოვლი არ მოსულიყო. მხოლოდ თოვლის მოსვლისას, 5 დეკემბერს, გამოცხადდნენ დისტანციის უფროსები ხაშურის რაიაღმასკომში მუშა-ხელის შეგროვების საკითხის მოსაგვარებლად. რაიაღმასკომის დახმარებით ეს საკითხი მოწესრიგებულ იქნა, და დადებულია ხელშეკრულებები კოლმეურნეობებთან.

მაგრამ მუშა-ხელის გარდა სხვა მხრითაც არ შეხვდა დისტანციები მზად ზამთარს. მათ არ მოეპოებათ საჭირო ინვენტარი, როგორიცაა ხის და რკინის ნიჩბები. კერძოდ მე-5 დისტანციას 150 რკინის ნიჩაბი აკლია, არ მოეპოებათ მუშებისათვის [illegible] ხელთათმანები, ქურქები და ჩექმები.

ბაკურიანის შტოზე ჰიდროკოლონები არ არის შეფუთვნილი, რაც წყალის გაყინვის საფრთხეს ქმნის.

მეხუთე და მეექვსე დისტანციების ხელმძღვანელებმა სასწრაფო ზომები უნდა მიიღონ ზამთრისათვის მომზადებაში არსებულ დეფექტების გამოსასწორებლად და გააკეთონ ყველაფერი იმისათვის, რომ მათი მიზეზით გზის მუშაობა არ შეფერხდეს.

ტ. გოზალოვი

დაამყარეთ წესრიგი სადგურებში

ა.-კ. რკ. გზის განსაკუთრებით დასავლეთ უბანზე ბევრია ისეთი სადგური, რომელიც ყურადღებას იქცევს თავის უწესრიგობით. სადგურები გადაქცეულია სასეირნო და დროის გასატარებელ ადგილად. ყოველი სახალხო მატარებლის მოსვლისას სადგურის პერონები უსაქმოდ მოხეტიალე ხალხით ივსება. მატარებლით მიმავალ მგზავრებს საშუალება არ ეძლევათ თავისუფლად გავიდენ პერონზე და ჩასხდენ ვაგონებში. უსაქმო, მოხეტიალე ხალხი ხელს უშლის მათ.

ასეთი უწესრიგობა განსაკუთრებით აღსანიშნავია ხაშურში, ზესტაფონში, ქუთაისში, აბაშაში, სენაკში, ვისაც კი გაუვლია ამ სადგურებში, დაგვეთანხმება, რომ ყოველივე ზემოდთქმული სინამდვილეს შეიცავს.

აღსანიშნავი ის არის, რომ ასე სასეირნო ადგილად გადაქცეული სადგურების ადმინისტრაცია არავითარ ზომებს არ მიმართავს მსგავსი არანორმალური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად. ისინი არ ატარებენ ცხოვრებაში იმ წესებს, რომლებიც გზაზე არსებობს, ეს არის საპერონო ბილეთების სისტემა. ვერცერთ ჩამოთვლილ სადგურზე ვერ შეხვდებით თქვენ, რომ იქ საპერონო ბილეთები იყიდებოდეს. უამისოდ კი ყველას საშუალება ეძლევა გავიდეს პერონზე და დარჩეს იქ რამდენხანსაც უნდა.

ამ სადგურების ხელმძღვანელებს ავიწყდებათ ის გარემოება, რომ სადგური, ეს ისეთივე დაწესებულება ან საწარმოა, სადაც უსაქმო ხალხს არ უშვებენ და სწორედ ამით აიხსნება ის უწესრიგობა, რომელსაც ეხლა იქ ვამჩნევთ.

ჩვენ ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას სადგ. სენაკს და აბაშას მივაქცევთ, სადაც ისეთ არევდარეულობას აქვს ადგილი, ყოველი სახ. მატარებლის მისვლის დროს, რომ კაცს გვერდს ვერ აუვლი. მგზავრები ვერ ასწრებენ ვაგონებში ჩასხდომას, არის ყვირილი, მიხლა-მოხლა, ბავშვების ტირილი და ერთი აურ-ზაური.

ამ უწესრიგობას სასწრაფოდ უნდა მოეღოს ბოლო. სადგურებში უნდა დამყარდეს მტკიცე წესრიგი და რაც მთავარია, ყველას უნდა შევაგნებინოთ, რომ სადგური ეს ისეთივე საწარმო - დაწესებულებაა, სადაც უსაქმო კაცს ადგილი არ უნდა ჰქონდეს, ეს კი პირველყოვლისა, სადგურის მუშაკებმა უნდა შეიგნონ.

მგზავრი.

საკოლმეურნეო ველებიდან ტრანსპორტზე. სტალინის სახ. სარემონტო ქარხანამ მუშა-ხელის ორგანიზაციულად შეგროვებისათვის ხელშეკრულება დასდო კავთისხევის კოლმეურნეობებთან („მაგალითი“ და „სიმაგრე“ სურათზე: კოლმ. „მაგალითიდან“ ქარხანაში მოსული კოლმეურნეები ძმები ჯავახიშვილები. ქარხნის შეფბიუროს მდივანი ამოწმებს მათ საგზურს.

აღვკვეთოთ დაუდევრობა მასწავლებელთა მომარაგების საქმეში

აგვიანებენ ხელფასის გაცემას

(ტფილისი. სტალინის სახ. რაიონი)

სტალინის რაიონში ზოგიერთი სკოლის მასწავლებელთა მომარაგებას ჯერ კიდევ არ ექცევა სათანადო ყურადღება. რაიონის კოოპერაციამ და სკოლის პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა დღემდე ვერ შესძლეს მასწავლებელთა მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების გადაჭრით გაუმჯობესება.

ამ რაიონის მასწავლებლებმა მთელი სამოსწავლო წლის განმავლობაში დახურული განმანაწილებლიდან მხოლოდ ერთხელ მიიღეს შაქარი და მაკარონი, მაგრამ ისიც ნახევარი ნორმიდან.

კოოპერატიული ტექნიკუმის მასწავლებლები მუდამ ორი და ხშირად სამი თვის დაგვიანებით ღებულობენ ხელფასს. როდესაც ხელფასის საკითხი მასწავლებლობამ [illegible] დააყენა რაიონის აღმასკომის საფინანსო განყოფილებაში, ამ უკანასკნელის ხელმძღვანელთაგან ასეთი პასუხი მიიღო: **„ხელფასი ჯერ ჩვენი თანამშრომლებისათვისაც არ მიგვიცია და თქვენ** როგორ მოგცეთო“. ამ სკოლის მასწავლებლები მიმაგრებული არიან დახურულ განმანაწილებელ № 2 მაღაზიაზე, საიდანაც მთელი სამი თვის განმავლობაში (სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი) არაფერი არ მიუღიათ.

სავაჭრო წერტში სურსათის და სამრეწველო საქონლის ნაცვლად ხშირად მოაქვთ დამპალი ვაშლი, ნაბდის ჩუსტები და აყროლებული თევზი. კოოპერატიული ტექნიკუმის მასწავლებლებს დღემდე არ მიუღიათ მაისის, ივნისის და ივლისის ნორმით კუთვნილი შაქარი.

№ 2 მაღაზიაში საქონლის განაწილების დროს ხშირად შევხვდებით უწესობას. საქონლის მიიღება აქ ხდება პირდაპირ ძალმომრეობით. ამის შედეგი იყო ის, რომ ივნისში მასწავლებელმა **მამალაძემ** მიიღო 50 მეტრი ფართალი. დანარჩენებს კი ერთი მეტრიც არ შეხვედრიათ.

მასწავლებელთა მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების გადაჭრით გამჯობესებისათვის არავითარ ზომებს არ ღებულობს სკოლის პროფორგანიზაცია.

— მე რა ძალა შემწევს, ნოქრებს არ გამოელიათ „ძმა-ბიჭები“ და ნაცნობები, მასწავლებლებისათვის მოსულ საქონელს „ძმა-ბიჭებს“ აძლევენო — აცხადებს პროფკომის თავმჯდომარე ცინცაძე. ასევე მოუქნელად მუშაობს ტფილისის სანიმუშო პედაგოგიური სადგურის პროფკომი. მან დღემდე არ იციან, თუ საიდან უნდა მიიღონ მასწავლებლებმა შეშა. „შეშის ფული შევაგროვე მასწავლებლებისაგან, აწი თვით მასწავლებლებმა იზრუნონ შეშის შესაძენადაო“ — იმართლებს თავს მე-107 შვიდწლედის პროფკომის თავმჯდომარე.

ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად სტალინის რაიონის გან. მუშაკი პროფ. კავშირის გამგეობა და განათლების განყოფილება გადამჭრელ ზომებს არ ღებულობენ.

სერ. მაჭარაშვილი

მასწავლებელთა მომარაგებას ყურადღებას არ აქცევენ

ქუთაისის რაიონში 907 მასწავლებელია. აქედან ქალაქად—600, სოფლად კი—307. ზემდგომ ორგანოების დადგენილებით მასწავლებლობა მომარაგების მხრივ გათანაბრებულია სამრეწველო მუშებთან, მაგრამ ქუთაისის ადგილობრივი კოოპ. ორგანიზაციებს დღემდე კიდევ არ შეუგნიათ ეს და მასწავლებელთა მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ნაკლებად ზრუნავენ.

თვით ქალ. ქუთაისში 600 მასწავლებლისათვის გახსნილია ერთი მაღაზია, მაგრამ ამ სავაჭროში იშვიათად ნახავთ სამრეწველო საქონელს.

ქუთაისის პირველმა ათწლედმა გასული სასწავლო წლის წარმატებით ჩატარებისათვის გარდამავალი დროშა მიიღო, მაგრამ [illegible] ასეთ დამკვრელ და მოწინავე სკოლის მასწავლებლებს, ქუთაისის კოოპერატიული ორგანიზაციები არ აქცევენ ყურადღებას და მომარაგების მხრით მას უპირატესობას არ აძლევენ.

სამრეწველო პროდუქტებით მომარაგებას მხრივ არც მეორე ათწლედია უკეთეს მდგომარეობაში. ამ სკოლის მასწავლებლებს უკანასკნელი 8 თვის განმავლობაში სრულიად არ მიუღიათ დეფიციტური სამრეწველო საქონელი. ასეთივე მდგომარეობაა ქუთაისის ქალაქის მეოთხე შვიდწლედში. ამ სკოლაში 9 მასწავლებელია, რომელთაც სამ თვეზე მეტია არ მიუღიათ კუთვნილი სამრეწველო პროდუქტები.

მასწავლებელთა მომარაგებაში უფრო აღმაშფოთებელ მდგომარეობას ადგილი აქვს სოფლად. რაიონის სოფლის არცერთი სკოლის მასწავლებელს არ მიუღია 4 თვის კუთვნილი ნორმა პურის ფქვილი.

არსებობს ა.-კ. მომარაგების სახალხო კომისარიატის 1933 წ. 5 ოქტომბრის დადგენილება. რომლის მიხედვითაც სოფლის მასწავლებლობას პირველ ოქტომბრიდან უნდა მიცემოდა გამომცხვარი პური, ან ფქვილი ახალი ნორმების მიხედვით, მაგრამ ამ დადგენილების რეალიზაციისათვის პრაქტიკულად ქუთაისის რაიონში ჯერ არაფერი გაკეთებულა.

დ. ბრეგაძე.

დახურული განმანაწილებელი ცუდად მუშაობს

ტფილისის 26 სახ. რაიონი

ტფილისის მე-19 საქარხნო-საფაბრიკო 7-წლედი 30 მასწავლებელს და 997 მოწაფეს აერთიანებს. ამ მასწავლებელთა მომარაგებას ყურადღება არ ექცევა.

მართალია მასწავლებლები მიმაგრებული არიან 26 კომუნარის სახ. რაიონის მასწავლებელთა დახურულ განმანაწილებელის № 5 მაღაზიაზე, მაგრამ ამ უკანასკნელით ისინი არ სარგებლობენ, რადგან მაღაზიაში იშვიათად ნახავთ საქონელს.

მე-19 საქარხნო-საფაბრიკო 7-წლედის მასწავლებლები არც სასურსათო პროდუქტებით არიან მომარაგებული. მათ ოქტომბერში სრული ნორმა მხოლოდ შაქარი მიიღეს და ამით გათავდა ყველაფერი. აგვისტოს და სექტემბრის ნორმა სურსათის დარიგებაზე კი დღემდე არავინ არ იწუხებს თავს.

მასწავლებლებმა, როდესაც მოითხოვეს თავის კუთვნილი ნორმა სურსათი, № 5 მაღაზიიდან ასეთი პასუხი მიიღეს: **„საწყობში წყალი შევიდა, საქონელი გაფუჭდა და ამიტომ ვეღარ გაძლევთო“.**

საინტერესოა გვიპასუხოს № 5 მაღაზიის ხელმძღვანელობამ — საწყობში, რომ წყალი შევიდა და საქონელი დაზიანდა, ამაში მასწავლებლებია დამნაშავე თუ ეს მათი უხეირო მუშაობის შედეგია?

ამასწინად კოოპ. გამგეობამ დაარიგა მასწავლებლებზე თითო ფუთი ნავთის ორდერი, მაგრამ № 14 ნავთის საწყობის გამგე **ალექსანდრე გოგლიძემ** თითო ფუთის ნაცვლად მასწავლებლებს მხოლოდ ოც-ოცი გირვანქა ნავთი მისცა.

სკოლაში გახსნილია ბუფეტი, სადაც მოწაფეები ღებულობენ ცხელ საუზმეს და ჩაის, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში 997 მოსწავლეა, პროდუქტებს მხოლოდ 600 მოწაფისათვის ღებულობენ. ბუფეტი უვარგის და პატარა ოთახშია მოთავსებული, რის გამოც საუზმისა და ჩაის გაცემის დროს ადგილი აქვს უწესობას.

გრ. ორახელაშვილი

განცხადება ოთხი რეზოლუციით

ხარაგოულის რაიონში მასწავლებლები ხელფასს თავის დროზე ვერ ღებულობენ. აქ ხშირად მასწავლებლებს ორი-სამი თვის ხელფასი არა აქვთ მიღებული. მაგალითად ხუნევისა და წიფის სასოფლო საბჭოებს მასწავლებლებისათვის სექტემბრის და ოქტომბრის ხელფასი ნოემბერშიაც არ ჰქონდა მიცემული.

ამ რაიონში მასწავლებელთა მომარაგებაც არ არის მოწესრიგებული. იგი აქ მივიწყებულიც კია. აი რას ლაპარაკობს ფაქტები: სოფ. ჩხერის, საღანძილის, ბაზალეთის, ლარიხევის, თეთრწყაროს, ახალსოფლის, სხლითი' და ვანის 24 მასწავლებელს ჯერაც არ მიუღიათ აგვისტოს ხვედრი ხორბალი.

ისეთ აღმაშფოთებელ ფაქტსაც კი ჰქონდა ადგილი, როდესაც სოფ. კანის 4-წლედის გამგე კოლია სახვაძემ ხარაგოულში ხორბლის მისაღებად რამდენიმე დღე იარა, მის განცხადებას ოთხი რეზოლუციაც კი წააწერეს რაიონის სათანადო ორგანიზაციებმა, რომ სახვაძისათვის დაუყოვნებლივ მიეცათ კუთვნილი ხორბალი, მაგრამ სარაიონო კოოპერაციის გამგეობამ ამას ყურადღება არ მიაქცია და მასწავლებლის კანონიერი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

ის კი უნდა აღინიშნოს, რომ ხარაგოულის რაიონში სამრეწველო საქონლით მასწავლებელთა მომარაგება წარსულთან შედარებით გაუმჯობესდა, მაგრამ ეს კოოპერაციის მზრუნველობის და უნარის შედეგი კი არ არის, არამედ თვით განათლების განყოფილებამ საზოგადოება „სოცკულტურა-ს“ რაიგამგეობასთან ერთად გახსნა სავაჭრო მაღაზია, რომლის საშუალებითაც რაიონის მასწავლებლებს ამარაგებენ სამრეწველო საქონლით.

ბინებით მასწავლებელთა უზრუნველყოფის საკითხი ხარაგოულის რაიონში ისევ მოუწესრიგებელია. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად [illegible] ღებულობს ზომებს.

მაგ. სოფ. ლაშის კოლაქ-სკოლის მასწავლებელი **გიორგი კალანდაძე** სკოლაზე 8 კილომეტრის დაშორებით ცხოვრობს. ასეთ პირობებში მასწავლებელთა შრომის ნაყოფიერება დაბალი რომ იქნება, ეს უდაოა.

ზემდგომი ორგანოების დადგენილების თანახმად 4 წლედის მასწავლებლებს ეძლევათ კომუნალური მომსახურებისათვის ხელფასის 9 პროცენტი, მაგრამ ხარაგოულის რაიონში, როგორც 1932 წ. ისე მიმდინარე წელს მასწავლებლებს ასეთი ჯერაც არ მიუღიათ.

დ. გაბრიაძე

თევზაძის სისტემის თაროები საგრენაჟო წარმოებაში

მეაბრეშუმეობის განვითარებისა და მის მაღალ საფეხურზე დაყენებისათვის აუცილებელია გრენის (აბრეშუმის თესლი) დამზადებაში მივაღწიოთ მნიშვნელოვან გარდატეხას. ადგილობრივ დავამზადოთ ისეთი თესლი, რომელიც უზრუნველყოფს აბრეშუმის პარკის დიდ მოსავალს.

ამ თვალსაზრისით მეტად ყურადსაღებია და ღირსშესანიშნავი მუშა ნ. თევზაძის გამოგონება.

ახალი სისტემის საგრენაჟო თაროების გამომგონებელი ამხ. ნ. თევზაძე.

თევზაძის მიერ გამოგონებული თაროები სრულიად ცვლის საგრენაჟო წარმოების ძველ ფორმებს. ის ზედმიწევნით აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნილებას გრენის დამზადების მხრივ. მთავარია ის, რომ თევზაძის სისტემის თაროები არ იწვევს სირთულეს. ის **უბრალო კონსტრუქციისაა**. მისი დამზადება არავითარ დეფიციტურ მასალას არ თხოულობს და წარმოებას ძვირი არ უჯდება.

თვითეული თაროს მოცულობა უდრის 7 კვადრატულ მეტრს, რომელზედაც თავსდება 45 კილოგრამი პარკი. ამრიგად, ერთი თარო ცვლის ძველი სისტემის სამ ტახტს. მექანიზებული თარო გრენაჟის მრეწველობაში აუქმებს საიზოლიაციო პარკუჭანების თავმოსაკრავ „ვიტორიოზის“ მანქანას თავის პერგამენტის ლენტით და არფების ხმარებით. თუ პარკი ჯანსაღი იქნება, საშუალება გვეძლევა საიზოლიაციო პარკუჭანები გამოვიყენოთ რამოდენიმე წელს. ადგილი არ აქვს თესლის დაკარგვას, რადგან ხმელი პეპლების ანალიზი ხდება **უძრავ მდგომარეობაში** თევზაძის მიერვე **შემუშავებული** წესით.

საგრენაჟო წარმოებაში თევზაძის სისტემის ახალ თაროებს ძველი სისტემის ტახტებთან შედარებით აქვს მრავალი უპირატესობა. ახალი სისტემა იძლევა საგრენაჟო წარმოების ბინის ეკონომიას 50 პროცენტით. გარდა ამისა აღსანიშნავია შემდეგი. თუ ერთ მუშას ძველი სისტემის ტახტებიდან აყავდა 8 საათის განმავლობაში 800—1000-მდე პეპელა, აწჟამად ახალი სისტემის მეოხებით 8 საათში აყავს 3.500-მდე პეპელა. გაიზარდა პეპლების აყვანის რაოდენობა იმიტომ, რომ მექანიზებულმა თაროებმა სრულიად შეცვალა მუშაობის ძველი, პრიმიტიული წესები.

გარდა ამისა თევზაძის სისტემის თაროები ხასიათდება სხვა მრავალი დადებითი თვისებებით. მაგ. პეპლის გამოსვლის დროს, ადგილი არ აქვს პეპლის დაკარგვისა და დაღუპვის შემთხვევებს. ამავე დროს პეპლები დაცულია ყოველგვარი მავნებლებისაგან, რომელიც ყოველწლიურად საგრძნობლად ამცირებს აბრეშუმის თესლის მოსავალს. წინად ძველი სისტემის ტახტიდან ჩამოცვენილი პეპლები მუშაობის პროცესში ისრისებოდა. ეს საგრენაჟო ქარხანაში აფუჭებდა ჰაერს, რაც ცუდად მოქმედებდა ადამიანის ორგანიზმზე. ახლა თევზაძის სისტემის თაროებით მუშაობის დროს ეს აღმოფხვრილია.

რა ეკონომიას გვაძლევს თევზაძის თაროები ძველ სისტემასთან შედარებით და როგორ იზრდება შრომის ნაყოფიერება?

1933 წელს ქუთაისში ჩატარებულმა ცდებმა გვიჩვენა, რომ 55 პეპლის ნადები იძლევა ერთ კოლოფს. ე. ი. 25 გრამ თესლს. ძველი წესით დამზადების დროს კი საჭირო იყო 80—100 პეპლის ნადები. ბინის მხრით. ასეთი სურათია: ერთ კვადრატულ მეტრზე ძველი წესით მზადდებოდა 24 კოლოფი თესლი. ახლა—კი ამავე ფართობზე მზადდება 45 კოლოფი. ძველი წესით ერთი კოლოფი თესლის დასამზადებლად იხარჯებოდა 175 გრამი ნედლი პარკი, ახალი წესით კი იხარჯება 255 გრამი. ამგვარად, თევზაძის სისტემის თაროების მეოხებით ნედლი პარკის ხარჯვა შემცირებულია 46 პროცენტით.

ძველი სისტემით 120 ათასი კოლოფი თესლის დასამზადებლად საჭირო იყო 12.260.000 პეპლის აყვანა, ამას კი ჭირდებოდა 11.400 კაცდღე. ახალი სისტემით კი, იმავე რაოდენობით თესლის დამზადებაზე საჭიროა 1645 კაცდღე. ეკონომია უდრის 9.755 კაცდღეს.

ძველი და ახალი სისტემის ხმელი პეპლების მთლიან ანალიზში და კონტროლში გატარების დროს გვაძლევს შემდეგ სურათს: 12.260.000 პეპელა რომ გაისინჯოს ძველი სისტემით ამას მიკროსკოპისტმა უნდა მოანდომოს 8.336 დღე და დასჭირდება 23.084 დამხმარე მუშა. ახალი სისტემით იმავე რაოდენობის პეპლის გასინჯვისათვის საჭიროა 5.345 დღე და 7.401 დამხმარე მუშა. მიკროსკოპისტის სამუშაო დღეთა მხრით გვაქვს 299 დღის ეკონომია. ხოლო მუშა-ხელის 15.683 დღის ეკონომია. ძველი სისტემით 30.600 კილო პარკიდან ვღებულობდით 64.445 კოლოფ თესლს. ახალი სისტემით იმავე რაოდენობის პარკიდან მივიღებთ 120 ათას კოლოფ თესლს ე. ი. დაახლოებით 45 პროცენტით მეტს.

თევზაძემ გამოიგონა აგრეთვე საგრენაჟო ქარხნიდან რაიონში აბრეშუმის თესლის გადასატანი ჩარჩოებიანი ყუთი რომელიც გამოიყენება თესლის საზამთრო ბინაში მოსათავსებლადაც. ამ ყუთის გაკეთებას სჭირდება მხოლოდ ხის მასალა და მარლა, სადაც თავსდება აბრეშუმის თესლი. თესლის რაიონებში გადასაგზავნად დღემდე ხმარებაში იყო კარდონის პატარა კოლოფები, რომელშიაც თავსდებოდა 25 ან 12,5 გრამი თესლი. ასეთი კოლოფები საქართველოში მზადდებოდა ყოველწლიურად 170 ათასი ცალი, რაც დიდ ხარჯებს იწვევდა. ამ კოლოფების გადაგზავნისათვის რაიონებში საჭირო იყო აგრეთვე სპეციალური ყუთები. თევზაძის სისტემის ყუთების გამოყენებით კი ზედმეტი ხდება, როგორც აღნიშნული კარდონის კოლოფები, ისე მისი ჩასაწყობი ყუთები. თევზაძის სისტემის ყუთი გამოყენებულ იქნება 10 წლის განმავლობაში. ამ ყუთშივე ჩაწყობილ ჩარჩოებში ხდება თესლის დაზამთრება, რაც არ იწვევს სპეციალურ ხარჯებს. **ეს სისტემა საქართველოს აბრეშუმის ტრესტმა უკვე შემოიღო ხმარებაში.**



აბრეშუმის თესლის გადასაგზავნი და დასაზამთრებელი ყუთი (თევზაძის სისტემის)

გარდა ამისა ღირსშესანიშნავია საჯიშე და რეპროდუქციული თესლის დამზადება ამხ. **თევზაძის და გ. ქუთათელაძის** სისტემით. აქ ხდება პეპლების სიცოცხლესა და უხარიანობაზე ყოველდღიური დაკვირვება, რაც ზრდის საჯიშო და რეპროდუქციულ თესლის ხარისხს. ამ სისტემით თესლის დამზადებაზე უკვე გადასულია ქუთაისის საცდელი საბრეშუმო ზონალური სადგური. მიღებული **შედეგები დამაკმაყოფილებელია**. ეს სისტემა ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული გიბრიდული თესლის დამზადების საქმეშიც.

გიბრიდული თესლის დამზადება დღეს მეაბრეშუმე სპეციალისტების ყურადღების ცენტრში დგას, რადგან ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება აბრეშუმის ჭიის სიკვდილიანობის წინააღმდეგ.

გრენის დამზადება პაპილიონაჟის დროს თხოულობს უამრავ მუშა ხელს. ამ მუშაობაში დღემდე ადგილი ქონდა გაუპიროვნებისა და მოწყობილობისადმი არა წესიერ მოპყრობის ფაქტებს. მოუწესრიგებელი იყო შრომა და აღრიცხვა. თევზაძის თაროების გავრცელება ყოველივე ამას ბოლოს მოუღებს. ახლა საშუალება გვეძლევა მოვაწესრიგოთ შრომა და ვაწარმოოთ ზუსტი აღრიცხვა, რომელსაც დიდი ყურადღება ექცევა საგრენაჟო წარმოებაში.

საკავშირო მეაბრეშუმეობის გრენიორთა ყრილობამ განიხილა და მოიწონა თევზაძის გამოგონება. ყრილობამ დაადგინა თევზაძის სისტემით თესლის დამზადებაზე გადავიდეს ქუთაისის პირველი გრენქარხანა, საცდელი ზონალური სადგური და ერთი დიდი საგრენაჟო ქარხანა შუა აზიაში.

თევზაძე დაჯილდოებულია 3000 მანეთით.

გრ. მოქია

საკავშირო სახკომსაბჭოსთან არსებული შესრულების კომისიის დადგენილება

სსრკ-ს მიწსახკომის მიერ მარცვლეულის ხარისხოვანი თესლის 100 მილიონი ფუთი ფონდის შექმნის და საგაზაფხულო თესვისათვის მისი მომზადების შესახებ სსრკ-ს სახკომსაბჭოს და საკ.კ.პ. (ბ) ც. კ-ის მიერ გამოცემული დადგენილების შესრულებაზე

განიხილა რა სსრკ-ს მიწსახკომის—ამხ. მურალოვის და სსრკ-ს მუშგლეხინის სახალხო კომისარიატის — ამხ. პეკარ-ორლოვის მოხსენებები, შესრულების კომისია აღნიშნავს, რომ მოსავლიანობის გადიდების საქმეში უჯიშო თესლის ხარისხოვანი თესლით; შეცვლის განსაკუთრებული მნიშვნელობის მიუხედავად, სსრკ-ს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1932 წლის 29 სექტემბრის დადგენილება 1933—34 წელს მარცვლეული კულტურების ხარისხოვანი თესლის 100 მილიონი ფუთი ფონდის შექმნის, მათ შორის ხარისხოვანი თესლის სახელმწიფო ფონდისათვის 40 მილიონი ფუთის და საკოლმეურნეობათაშორისო სათესლე ფონდისათვის 60 მილიონი ფუთის გამოყოფის შესახებ, სსრკ-ს მიწსახკომის სისტემის მიერ არადამაკმაყოფილებლად სრულდება.

1. ა. წ. საშემოდგომო თესვისათვის ხარისხოვანი თესლის საკოლმეურნეობათაშორისო გადაცვლის გეგმა შესრულებულია სულ 57 პროცენტით, აქედან ჭარხალ-ტრაქტორცენტრის (უფროსი ამხ. სკალიდა) სამანქანო სატრაქტორო სადგურებში — 75 პროცენტით, სელკანაფტრაქტორცენტრის (უფროსი ამხ. ოშმარინი) სამანქანო - სატრაქტორო სადგურებში — 89 პროც., ხოლო მარცვალტრაქტორცენტრის (უფროსი ამხ. კონდრატიევი) სამ.სატრაქტორო სადგურებში, რომელთა დავალებაც საერთო გეგმის ნახევარზე მეტს შეადგენს, შესრულებულია დაწესებული გეგმის მხოლოდ 47 პროცენტი.

ხარისხოვანი საგაზაფხულო თესლის საკოლმეურნეობათაშორისო გადაცვლა უმეტეს მხარეებში, პურის ჩაბარების დამთავრების და შრომა-დღეების მიხედვით მარცვლეულის დაწყებული განაწილების მიუხედავად, ყველა ტრაქტორცენტრის სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში დღემდის სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, რაც იწვევს ხარისხოვანი მარცვლეულის დახარჯვას მოხმარებისათვის და ქმნის კოლმეურნეობათა შორის ჩვეულებრივი თესლის ხარისხოვან თესლზე გადაცვლის ორგანიზებული ჩატარების ჩაშლის საფრთხეს. ყველა ტრაქტორცენტრში ხაზით უმეტეს მხარეებსა და ოლქებში დღემდის დამთავრებული არ არის მეთესლეობის კოლმეურნეობათა ქსელის შერჩევა, ხოლო შერჩეული კოლმეურნეობათა ვარგისიანობა მეთესლეობის მიზნებისათვის საკმარისად არ არის შემოწმებული.

ხარისხოვანი თესლის 60 მილიონი ფუთი საკოლმეურნეობათაშორისო გადასაცვლელი ფონდის შექმნის გეგმის ასე ცუდად შესრულება იმის შედეგია, რომ ტრაქტორცენტრების უფროსები ფაქტიურად ხელმძღვანელობას არ უწევენ მუშაობის მსვლელობას ადგილებზე, ხოლო სსრკ-ს მიწსახკომს არ შეუმოწმებია მათი მუშაობა და დროიანად არ მიუპყრია მთელი თავისი სისტემის ყურადღება პარტიის და მთავრობის ამ დავალების — მოსავლიანობის გადიდებისათვის უმნიშვნელოვანესი დავალების — განხორციელებისადმი.

2. სსრკ-ს მიწსახკომის საკეთესლეობის მიერ (მმართველი ამხ. ზუბარევი) თუმცა 40 მილიონი ფუთი ხარისხოვანი თესლის სახელმწიფო ფონდის ანგარიშში 1-ლ დეკემბრისათვის დამზადებულია 30 მილიონი ფუთი, მაგრამ დამზადებული მარცვლეულის ხარისხი ყოველთვის არ შეეფერება ხარისხობრივ კონდიციებს და მისი შენახვა მთელ რიგ ადგილას არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული (საწყობების ნაწილი გამოუსადეგარია ხარისხოვანი თესლის შენახვისათვის, მოგვარებული არ არის ჭომლეთა კადრების ინსტრუქტირება, 40 პროცენტამდე დამზადებული თესლი ხარისხის მხრივ არ არის შემოწმებული და დოკუმენტებით გაფორმებული). ყველაფერი ეს იწვევს მარცვლეულის გაფუჭებას, სხვადასხვა ხარისხის თესლის ერთმანეთში არევას და თესლის დანაგვიანებას სხვა კულტურებით.

3. შესრულების კომისია განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ სსრკ-ს მიწსახკომს არ გაუჩაღებია აუცილებელი ბრძოლა ხარისხოვანი მასალის თვისების ამაღლებისათვის, რასაც შედეგად მოჰყვა მეთესლეობის კოლმეურნეობათა არადამაკმაყოფილებელი აგრონომიული და საწარმოო მომსახურება საოლქო და სამხარეო სამიწათმოქმედო სამმართველოების და განსაკუთრებით სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიერ, რის გამო მთელი რიგი ხარისხოვანი თესლის მხრივ ადგილი აქვს მარცვლეულის საგრძნობი ნაწილის თვისების გაუარესებას.

შესრულების კომისია ადგენს:

1. დაევალოს სსრკ-ს მიწსახკომს:

ა) ერთი დეკადის ვადაში სსრკ-ს სახკომსაბჭოს წარუდგინოს დასამტკიცებლად საგაზაფხულო ხარისხოვანი თესლის საკოლმეურნეობათაშორისო გადაცვლის საბოლოო გეგმა და საგაზაფხულო ხარისხოვანი თესლით საგაზაფხულო თესვის საერთო გეგმა კულტურების და მხარეების და ოლქების მიხედვით.

ბ) არა უგვიანეს 1934 წლის 1-ლ იანვრისა, დაამთავროს მეთესლეობის კოლმეურნეობათა ქსელის შერჩევა როგორც სახელმწიფო ხარისხოვანი სათესლე ფონდის თესლის გაფართოებული აღდგენისათვის, ისე საკოლმეურნეობათაშორისო გადასაცვლელი ფონდისათვის, ამავე დროს შემოწმოს წინათ გამოყოფილი კოლმეურნეობანი მეთესლეობის მიზნებისათვის მათი ვარგისიანობის თვალსაზრისით.

2. დაევალოს სსრკ-ს მიწსახკომს არა უგვიანეს 1934 წლის 10 იანვრისა დაამუშაოს და დაამტკიცოს მხარეების (ოლქების) მიხედვით ხარისხობრივი დარაიონება და თვითეული კულტურის მიხედვით ხარისხოვან თესვაზე გადასვლის გეგმა.

წინადადება მიეცეს სამხარეო (საოლქო) აღმასკომებს არა უგვიანეს 1934 წლის 25 იანვრისა სამხარეო ოლქებში (უკრაინის სსრკ, ჩრდილოეთ - კავკასია, ყირიმი, შუააზია და, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები), და არა უგვიანეს 15 თებერვლისა დანარჩენ რაიონებში დააწესონ ცალკე კულტურათა თესვის საწარმოო გეგმები თვითეული სამანქანო - სატრაქტორო სადგურის მიხედვით და დაამუშაონ მეთესლეობის კოლმეურნეობებისათვის გადიდებული აგროტექნიკური მოთხოვნები, ამასთან უზრუნველყონ საუკეთესო ნაკვეთები თესლთბრუნვაში ხარისხოვანი თესვისათვის.

3. დაევალოს ამხ. ზუბარევს (საკეთესლეობა) არა უგვიანეს 1934 წლის 15 იანვრისა შემოწმოს სახელმწიფო ხარისხოვანი სათესლე ფონდის ხარისხოვანი მარცვლეული და აღმოფხვრას მისი შენახვის ყველა დეფექტი იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთელი მარცვლეული დოკუმენტებით. მისი ხარისხობრივი ვარგისიანობის შესახებ და აყვანილ იქნას თესლის ხარისხი დაწესებულ კონდიციებამდე.

4. წინადადება მიეცეს ამხ. იაკოვლევს (სსრკ-ს მიწსახკომი) გამოამჟღავნოს და პასუხისგებაში მისცეს ის პირები, რომელთაც დანაშაული მიუძღვით ჩრდილოეთ-კავკასიისა, ქვემო - ვოლგის მხარისა და დასავლეთ ოლქში საშემოდგომო თესვისათვის საკოლმეურნეობათაშორისო ხარისხოვანი თესლის გადაცვლის ჩაშლაში.

5. შესრულების კომისია ავალებს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, სამხარეო (საოლქო) აღმასკომებს განსაკუთრებული მეთვალყურეობა გაუწიონ ამ დადგენილების შესრულებას და აღმოუჩინონ სამიწათმოქმედო ორგანოებს აუცილებელი დახმარება იმ ღონისძიებათა გატარებაში, რომლებიც უზრუნველყოფენ საგაზაფხულო კულტურებისათვის ხარისხოვანი თესლის გადაცვლის დროიანად განხორციელებას.

6. გაფრთხილება მიეცეთ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს და პოლიტგანყოფილებათა უფროსებს, რომ მათ აწევთ პერსონალური პასუხისმგებლობა საგაზაფხულო თესვისათვის თესლის საკოლმეურნეობათაშორისო გადაცვლის გეგმების შესრულებისათვის.

წინადადება მიეცეს სსრკ-ს მუშგლეხინის სახალხო კომისარიატს, საოლქო (სამხარეო) საკონტროლო კომისია - მუშგლეხინების მეშვეობით მოაწყოს სპეციალური კონტროლი ამ დადგენილების შესრულებაზე.

შესრულების კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **ი. რუძუტაკი.**

შესრულების კომისიის მდივანი — **მ. რემიზოვი.**

მოსკოვი, კრემლი.
1933 წლის 9 დეკემბერი.

საბჭოთა კავშირში

საკავშირო ცაკის დადგენილება

იმ მიზნით, რომ მიღწეულ იქნას ს.ს.რ.კ. სამეცნიერო აკადემიის მუშაობის უფრო მჭიდროდ დაკავშირება სოც. მშენებლობის პრაქტიკასთან და მოგვარდეს სამეცნიერო აკადემიის გეგმა-შეზომილი და მჭიდრო თანამშრომლობა სახალხო კომისარიატებთან და ს.ს.რ.კ. სახ. მწიფო საგეგმო კომისიასთან,—ს.ს.რ.კ. ცენტრალური ალმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1 დაწესდეს, რომ ს.ს.რ.კ. სამეცნიერო აკადემია არსებობს ს.ს.რ.კ. სახალხო კომისართა საბჭოსთან.

2. სამეცნიერო აკადემიის მუშაობის გეგმას ამტკიცებს ს.ს.რ.კ. სახალხო კომისართა საბჭო.

3. ს.ს.რ.კ. სამეცნიერო აკადემიის წესდებას ამტკიცებს ს.ს.რ.კ. სახალხო კომისართა საბჭო.

ს.ს.რ.კ. ცენტრალური ალმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

ს.ს.რ.კ. ცენტრალური ალმასრულებელი კომიტეტის მდივანი ა. ენუქიძე.

მოსკოვი. კრემლი.
1933 წ. 14 დეკემბერი.

ს.ს.რ.კ. სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებას

შორეულ აღმოსავლეთის მხარის მოსახლეობისათვის შეღავათების მიცემის შესახებ მხარის მუშები და კოლმეურნეები აღფრთოვანებით ხვდებიან

ხაბაროვსკი, 14 დეკემბერი. მხარის მუშები და კოლმეურნეები აღფრთოვანებით შეხვდნენ საკავშირო სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას შორეულ აღმოსავლეთის მხარის მოსახლეობისათვის შეღავათების მიცემის შესახებ. ხაბაროვსკის მუშები მიტინგებსა და კრებებზე მიღებულ რეზოლუციებში აღნიშნავენ, რომ სახკომსაბჭოს და ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება მიზნად ისახავს შორეულ აღმოსავლეთის მხარის უსწრაფეს სამეურნეო ათვისებას, მშრომელთა კულტურულ - საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომ საფუძვლიან გაუმჯობესებას და წყნარ ოკეანეზე საბჭოთა კავშირის ფორპოსტის თავდაცვის უნარიანობის კიდევ უფრო განმტკიცებას.

„დალსელმაშის" მუშებმა თავის მიტინგზე დაადგინეს გაუგზავნონ ამხ. სტალინს და მოლოტოვს წერილი, რომელშიაც პირობას იძლევიან, რომ მოიხმარენ ყოველივე ღონისძიებას, რათა თავისი ქარხანა ჩააყენონ საბჭოთა კავშირის მოწინავე ქარხნების რიგებში.

„მხარის მშენებლობის დაკვრითი ტემპების გაძლიერება, სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულება, პურის დამზადების და ხე-ტყის დამზადების წარმატებით დამთავრება, ტყეში ორგანიზებულად გასვლა—ასეთია ამჟამად ჩვენს წინაშე დასმული ამოცანები, აცხადებენ მთელ რიგ საწარმოთა მუშები.

მთავრობის და პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას უდიდესი ენთუზიაზმით შეხვდნენ სპასკის ცემენტის ქარხნის — შორეულ აღმოსავლეთის მშენებლობის პროცესში მყოფი ერთერთი სამრეწველო გიგანტის მუშები. ისინი სიტყვას იძლევიან, რომ სამხარეო პარტკონფერენციის მოწვევის დღისათვის აამუშავებენ დროებით შეჩერებულ ცემენტის ქარხანას და მე-17 პარტყრილობისათვის დაამთავრებენ ელექტროსადგურის აგებას.

ბლაგოვეშჩენსკის რაიონის კოლმეურნეები თავის რეზოლუციებში აცხადებენ: „პარტია და მთავრობა მთელ რიგ წლების განმავლობაში დიდ დახმარებას უწევენ შორეულ აღმოსავლეთის კოლმეურნეებს და მშრომელთ მხარის ათვისებაში. ახალი დადგენილება უსაზღვრო შესაძლებლობებს იძლევა უმდიდრესი მხარის უდაბურ ადგილებში მრეწველობის და სოფლის მეურნეობის მძლავრად განვითარებისათვის".

სპასკის რაიონის კოლმეურნეები ისტორიული გადაწყვეტილების საპასუხოდ აწყობენ წითელ ქარავნებს. ბირობიჯანის რაიონის ტიხონკოვის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მუშები სიტყვას იძლევიან, რომ ვადამდე დაამთავრებენ ტრაქტორების რემონტს საგაზაფხულო თესვისათვის.

გუშინ, მასობრივი მიტინგები და კრებები გაიმართა ვლადივოსტოკის ყველა საწარმოში. მშრომელნი აღფრთოვანებით ესალმებიან სახკომსაბჭოს და ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას. „დალზავოდის" და ქალაქის სხვა საწარმოების მრავალი მუშა კისრულობს ვალდებულებას დარჩეს შორეულ აღმოსავლეთის მხარეში მეორე ხუთწლედის დამთავრებამდე. ვლადივოსტოკის სანაპირო რაზმელები რეზოლუციაში წერენ:

„ჩვენ კიდევ უფრო შევამჭიდროვებთ ჩვენს რიგებს შორეულ აღმოსავლეთის საზღვრების გამაგრებისათვის, კლასობრივი სიფხიზლის ამაღლებისათვის, რევოლუციის მტრებთან, სოციალისტური მშენებლობის მტრებთან შეურიგებელი ბრძოლისათვის. დაე იცოდნენ პროლეტარებმა, რომ ათ მშვიდობიან შრომას იცავენ საბჭოთა კავშირის საიმედო, იდეურად შეკავშირებული [illegible] (ადს).

ფართო მოხმარების საგნების მაღაზიების ქსელი გაფართოებული იქნება.

მოსკოვი, 9 დეკემბერი. ს.ს.რ.კ. მომარაგების სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებანი საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის.

მომავალი წლის პირველ ნახევარში სახვაჭრობა საბჭოთა კავშირში გახსნის 427 ახალ მაღაზიას, რომლებიც ივაჭრებენ მხოლოდ და მხოლოდ ერთგვაროვანი საქონლით. მოეწყობა ფეხსაცმელის, მზა ტანსაცმლის, ავეჯის, ჭურჭლეულობის საგალანტერეო - საპარფიუმერო, მუსიკალური, ფოტოგრაფიული, სათამაშოების და საკანცელარიო ნივთების მაღაზიები.

მაღაზიებთან იმუშავებენ გასაყიდი საქონლის (მზა ტანისამოსის, [illegible], რადიოს და სხვ.) შემკეთებელი და გადამკეთებელი სახელოსნოები. მოსახლეობის უკეთ მომსახურების მიზნით, ამ სპეციალური მაღაზიებისათვის შერჩეული იქნება დახლის მუშაკთა და გამგეების ყველაზე უფრო კვალიფიციური შემადგენლობა, ამასთანავე მოეწყობა მოკლევადიანი კურსები ამ მუშაკების მოსამზადებლად და გადასამზადებლად.

ბაქოში გაიხსნება 17 ასეთი მაღაზია, ხოლო ტფილისში 15 (ადს).

ა/წ. 16 და 17 დეკემბერს გაზ. „კომუნისტი"-ს რედაქცია აწყობს „კომუნისტი"-ს დამკვრელ მუშკორთა ბრიგადების

რეიდს

დამკვრელი მუშკორები რეიდში მონაწილეობის მისაღებად უნდა გამოცხადდნენ გაზ. „კომუნისტი"-ს რედაქციაში (რუსთაველის პრ. № 16) დღის სრულ 9 საათზე.

„კომუნისტი"-ს ადგილობრივი ქსელისა და დამკვრელი ბრიგადების განყოფილება.

კრასნოპრესნელების პატაკი

მოსკოვი, 14 დეკემბერი. ამხ. სტალინის, კაგანოვიჩის, ხრუშჩევის და ბულგანინისადმი გაგზავნილ პატაკში კრასნაია პრესნიის რაიკომი და რაი-საბჭო იუწყებიან, რომ წლიური გეგმა შესრულებულია 100,1 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება შეადგენს 109,6 პროცენტს, თვითღირებულება შემცირებულია 1,22 პროც., რაც ჩვენს ქვეყანას მისცემს დაახლოებით 5 მილიონი მანეთის ეკონომიას (ადს).

საზეიმო სხდომა მიძღვნილი ამხ. სტალინის სახ. საკავშირო სას.-სამ. კომუნისტური უნივერსიტეტის 15 წლისთავისადმი

ლენინგრადი, 13 დეკემბერი. ურიცკის სახ. სასახლეში შედგა ამხ. სტალინის სახ. საკავშირო სასოფლო-სამეურნეო კომუნისტური უნივერსიტეტის 15 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. ზეიმს დაესწრენ სვერდლოვის სახ. კომუნისტური უნივერსიტეტის, სამარის, სარატოვის, გორკის, ბაშკირეთის, ხარკოვის უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სკოლების დელეგაციები, სტალინის სახელობის ავტოქარხნის და კაგანოვიჩის სახელობის სახელმწიფო ორთქლმავალმშენებელი ქარხნის დამკვრელები. მისალმებებით გამოვიდნენ აგრეთვე საოლქო კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. სტრუპე, ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების, „კრასნი პუტილოვეცის", სამხედრო გემის „მარატის", სვერდლოვსკის კომუნივერსიტეტის და სხვ. წარმომადგენლები. საკ. კ.პ. (ბ) სმოლნის რაიკომის დელეგაციამ უნივერსიტეტს მიუძღვნა წითელი დროშა.

საზეიმო სხდომამ ამხ. სტალინს გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშა (ადს).

სახელმწიფო ავტოქარხნის საინჟინერო [illegible]

გორკი, 13 დეკემბერი. მოლოტოვის სახელობის ავტოქარხანაში დაიწყო საინჟინერო კორპუსის მშენებლობისათვის მზადება. ამ კორპუსში თავმოყრილი იქნება ქარხნის ყველა საგამოკვლეო ლაბორატორია, ტექნიკური განყოფილება, ექსპერიმენტალური საამქრო, გამოსაცდელი სადგური, სალექციო აუდიტორია, საყურებელი დარბაზი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობის კაბინეტი. მოწყობილობის ძირითადი ნაწილი, მათ შორის ლაბორატორიების რთული ხელსაწყოები, დამზადდება საბჭოთა ქარხნებში (ადს).

საწარმოო ენთუზიაზმი დონბასის მაღაროებში

მოსკოვი, 12 დეკემბერი. 8 დეკემბერს საბჭოთა კავშირის ყველა მაღარომ ამოიღო 242.245 ტონა ქვანახშირი—გეგმის 98 პროც. დონბასმა ამ დღეს თავისი გეგმა შეასრულა 102,1 პროცენტით, ხოლო შემდეგ დღეს—101,2 პროცენტით.

10 დეკემბერს უკრაინის დონბასმა კვლავ გადაჭარბებით შეასრულა პროგრამა, ამოიღო რა 142.613 ტონა ქვანახშირი—102,1 პროცენტი. დონბასის ეს ახალი რეკორდი ცხადჰყოფს, რომ მაღაროელები ენთუზიაზმით შეხვდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას დონბასის ქვანახშირის მრეწველობის შესახებ (ადს).

მოწყობილობა თურქეთის პირველ სახელმწიფო საფეიქრო კომბინატისათვის

მოსკოვი, 12 დეკემბერი. „სოიუზტექსტილმაში" ამთავრებს დაკვეთების განაწილებას საკომპლექსო მოწყობილობაზე თურქეთის პირველ სახელმწიფო საფეიქრო კომბინატისათვის. ეს მოწყობილობა დაპროექტებულია საბჭოთა კონსტრუქტორების მიერ ჩვენი და უცხოეთის ტექნიკის უახლოეს მიღწევათა გათვალისწინებით. მოწყობილობის დამზადებისა და თურქეთში [illegible] მოედანზე მიტანის შემდეგ მთელი მოწყობილობა დამონტაჟებული და ამუშავებული იქნება „სოიუზტექსტილმაშის" სამონტაჟო ბიუროს ძალებით. მთელი ამუშავებული კომბინატის ჩაბარება მოხდება 1934 წელს. (ადს).

საჰაერო თავდაცვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ერთთვიური

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმმა 1 დეკემბრიდან გამოაცხადა საჰაერო თავდაცვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ერთთვიური.

თ.-ა-ის ერთთვიური მიზნად ისახავს მშრომელთა ყურადღების მობილიზაციას და მასების ფართოდ ჩაბმას საჰაერო თავდაცვის სწავლების საქმეში.

თ.—ა-ის ერთთვიურის ჩატარების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თ.-ა ცენტრ. საბჭოს მეოთხე პლენუმის გადაწყვეტილების განხორციელებას საჰაერო თავდაცვის სწავლების შესახებ. თავდაცვის ერთთვიურის წარმატებით ჩატარებისათვის უნდა იბრძოლოს როგორც პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, ისე ყოველმა თვითეულმა მუშამ, კოლმეურნემ და საბჭოთა მოსამსახურემ. ყველა მასობრივი ორგანიზაციები პრაქტიკულად უნდა იქნენ თ.-ა-ის ერთთვიურის ჩატარებაში, მატერიალურად და იდეურად უზრუნველყონ საჰაერო თავდაცვის უცოდინარობის სალიკვიდაციო წრეების და ჯგუფების მუშაობა.

თავდაცვის მუშაობის გაძლიერება და მისი სათანადო სიმაღლეზე დაყენება მოითხოვს მტკიცე მატერიალურ-ფინანსიური ბაზის შექმნას. ამიტომ თავდაცვის ერთთვიურის ჩატარების დროს შეუფერხებლად უნდა ავკრიფოთ თავდაცვა-ავიაქიმის საწევრო ანარიცხები, ამისათვის თ.-ა-ის უჯრედებმა ადგილებზე საჭიროა ჩაატარონ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა, რომ თვითეულმა მუშამ, კოლმეურნემ და საბჭოთა მოსამსახურემ იცოდეს ამ ერთთვიურის ჩატარების მიზანი და მნიშვნელობა.

უკვე 14 დღე გავიდა, რაც ტფილისში მიმდინარეობს თავდაცვა-ავიაქიმის ერთთვიური. ზოგიერთი ორგანიზაცია მართლაც ენერგიულად ჩაება ერთთვიურში და გაშალა მუშაობა საჰაერო თავდაცვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის, იბრძვის ამიერ-კავკასიისა და საკავშირო საჰაერო თავდაცვა-ავიაქიმის მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის უფლების მოსაპოებლად. ამ მხრივ წარმატებული მუშაობა ჩაატარეს თ.-ავიაქიმის ლენინისა და სტალინის რაიონის საბჭოებმა და წითელმა ჯვარმა.

მაგრამ ისეთი დიდი მასობრივი ორგანიზაციები, როგორიცაა პროფკავშირი და ბინათკავშირი, სრულიად ჩამორჩნენ. მათი არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ თავდაცვა-ავიაქიმის ერთთვიურის ჩატარებაში. ტფილისის პარტიული კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებამ ა.-წ. 10 დეკემბერს სპეციალურად მოწვეულ თათბირზე თ.-ა. ერთთვ. მიმდინარეობის შესახებ აღნიშნა ეს ნაკლი და მიუთითა პროფკავშირს, ბინათკავშირსა და სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც ჩამორჩენილი არიან ამ საქმეში, დაჩქარებით გარდაქმნან მუშაობა.

14 დეკემბრიდან საქ. თავდაცვა-ავიაქიმის მიერ გამოყოფილი საჰაერო თავდაცვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ერთთვიურის შემოწმებელი კომისია სპეციალური ბრიგადების საშუალებით შეამოწმებს ტფილისის ოთხივე რაიონს თუ როგორ მიმდინარეობს თავდაცვის უცოდინარობის ერთთვიური. ეს შემოწმება იქნება კონკრეტული, პრაქტიკული დახმარება, რათა ჩამორჩენილი ორგანიზაციებისა და თ.-ა-ის უჯრედების მუშაობა მთლიანად გაჯანსაღდეს და აღნიშნული უჯრედები მნიშვნელოვანი წარმატებებით შეხვდნენ მე-17 პარტყრილობას.

ხელოვნება

საქ. ფილარმონიის საზამთრო სეზონი

საქართველოს ფილარმონიის საზამთრო საკონცერტო სეზონი იხსნება 20 დეკემბერს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში. მოწვეულ არიან პიანისტები: **გილელსი** (რომელმაც პირველი პრემია მიიღო საკავშირო კონკურსზე), **არტურ რუბინშტეინი** (ცნობილი პოლონელი პიანისტი), **ლევ ობორინი**, ა. გინზბურგი, პერელმანი, კამენსკი და შესტაკოვიჩი; სკრიპკაზე დამკვრელები **დ. ოისტრახი** და **ი. ხეიფეცი** (რომელიც რამდენიმე გასტროლისთვის ჩამოდის ამერიკიდან საბჭოთა კავშირში); ვოკალისტები—დუხოვსკაია, **ირმა იაუნზემ**, გოლოვინი, ბარსოვა, ცესევიჩი (რომელიც ახლო ხანში დაბრუნდება საზღვარგარეთიდან); მხატვრული კითხვის ოსტატები ანტონ შვარცი და კამინკა.

მუზიკ-ხოლის გახსნა მოხდება 10 დეკემბერს მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის შენობაში. მოწვეული არიან მოსკოვის და ლენინგრადის ესტრადის საუკეთესო ძალები, მათ შორის უტიოსოვი და რენსკი.

ხელმოწერილია ხელშეკრულება ვახტანგოვის სახელობის თეატრთან მისი ტფილისში ჩამოსვლის შესახებ. თეატრის რეპერტუარშია: „ეგორ ბულიჩევი", „დოსტიგაევი და სხვები", „ინტერვენცია", „პრინცესა ტურანდოტი" და ორი პრემიერა მიმდინარე სეზონისა.

ამას გარდა, გასტროლებზე მოწვეულია: სტანისლავსკის სახელობის მუსიკალური თეატრი, მოსკოვის პირველი სამხატვრო თეატრი, სიმონოვის ხელმძღვანელობით არსებული თეატრი და ლენინგრადის სატირის თეატრი **გრანოვსკაიას და ნადეჟდინის** მონაწილეობით.

ბათომისა და ქუთაისისათვის მოწვეულია მოსკოვის მუსიკალური კომედიის თეატრი (ყოფ. მუსიკალური ბუფონადა) ვ. ზბრუთოვის ხელმძღვანელობით. თეატრის რეპერტუარშია „კორნევილის ზარები", „ყინულის სახლი", „ჯუანიტა" და სხვ.

ბათომს და ქუთაისს მომსახურებას გაუწევს აგრეთვე მოსკოვის დრამატიული თეატრი დამსახურებულ არტისტ ვ. ბლიუმენტალ-ტამარინის მონაწილეობით და ყველა ის კონცენტრანტები და საესტრადო ძალები, რომლებიც მოწვეული იქნებიან საქ. ფილარმონიის მიერ ტფილისში.

ნახ. ელ. ახვლედიანის.



ქუჩის კომუნის სასადილო

ქუთაისში შენდება შუშის დიდი ქარხანა

ქუთაისი, 14 დეკემბერი. დამტკიცებულია და 1934 წლის საკონტროლო ციფრებში შეტანილია შუშის (ბოთლებისა და სააფთიაქო ჭურჭლის) დიდი ქარხნის აგება საღორიის პლატოზე,— ქუთაისიდან 3 კილომეტრის დაშორებით.

ქარხანა აგებული იქნება ტექნიკის უკანასკნელ მიღწევების საფუძველზე.

მექანიზაციით ქუთაისის შუშის ქარხანა პირველი იქნება მთელ საბჭოთა კავშირში, ხოლო სიმძლავრით ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი საბჭოთა კავშირში და პირველი ამიერ-კავკასიაში. ქარხნის წლიური პროდუქცია იქნება 24.000 ტონა მზა ნაწარმი.

ქარხანაში იმუშავებს 800 კაცი.

ქარხნის მშენებლობა დაიწყება 1934 წლის დასაწყისიდან. ბოთლების საამქრო ამუშავდება 1935 წელს, ხოლო სააფთიაქო ჭურჭლეულის დამამზადებელი საამქროები —1936 წელს. შუშის ქარხნის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება უდრის 13 მილიონ მანეთს (ადს).

აჭარის შაქრის ქარხანამ გააუმჯობესა მუშაობა

სტალინისი, 14 დეკემბერი. 14 დეკემბრისათვის აჭარის შაქრის ქარხანამ გამოუშვა 105 ვაგონი შაქარი. ჩაება რა მე-17 პარტყრილობის სახელობის მასობრივ საწარმოო ლაშქრობაში, სამრეწველო გეგმების შესასრულებლად, ქარხანამ შესამჩნევად გააუმჯობესა მუშაობა. დეკემბერში ქარხანა დღე-ღამეში საშუალოდ ამუშავებს 4.043 ცენტნერ ჭარხალს, წინააღმდეგ პირველ დეკემბრამდე გადამუშავებულ 3.266 ცენტნერისა. გაძლიერდა ბრძოლა დანაკარგების წინააღმდეგ. თუ ყრილობისათვის მზადების დაწყებამდი შაქრის დანაკარგი სჭარბობდა 4,6 პროცენტს, ამჟამად ის შემცირდა 3,7 პროცენტამდე. ქარხნის ყველა მუშა და ინჟინერ-ტექნიკოსი ჩაბმულია სოც. შეჯიბრებაში, ვალდებულებათა უკეთ შესასრულებლად ყრილობისათვის.

გასწორება

„კომუნისტის" 14 დეკემბრის მოწინავე წერილში დაშვებულია შეცდომა. მეორე სვეტის პირველ აბზაცში წერია: „...რამაც უზრუნველჰყო ქიმიური მრეწველობის გიგანტის — ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხნის" და სხვ. უნდა იყოს: „მეტალურგიის გიგანტის — ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხნის" და სხვ.

ჭადრაკი

ფლორ-ბოტვინიკის მატჩი

მატჩის მეცხრე პარტიაში ბოტვინიკმა დაამარცხა ფლორი

ლენინგრადი, 14 დეკემბერი. ფლორ-ბოტვინიკის მატჩის მეცხრე პარტია დამთავრდა ბოტვინიკის გამარჯვებით. ბოტვინიკი თამაშობდა თეთრებით (ადს).

ლენინგრადი, 14 დეკემბერი. მატჩის მეცხრე პარტიაში ბოტვინიკი თამაშობდა თეთრებით. დებიუტი — კარო-კანის დაცვაა. მეათე სვლამდე პარტია სწორედ ისევე განვითარდა, როგორც პირველი პარტია, ბოტვინიკის მიერ წაგებული, მაგრამ ახლა ბოტვინიკმა მეათე სვლაზე ე-5 კუს ფ-6 უჯრედზე გაცვლის მაგიერ, როგორც ეს მოხდა პირველ პარტიაში, ითამაშა მხედარი ე-1—ფ-3. ფლორმა უპასუხა ე-7—ე-6, რითაც ერთბაშად გააუარესა მდგომარეობა.

შავ მეფეს არ შეეძლო როქის მოხდენა და თეთრებმა მშვენიერი იერიში მიიღეს. ფლორის ცდას, გაერთულებინა პარტია აზარტული სვლით ე-6—ე-5, მოჰყვა მის მიერ ორი პაიკის დაკარგვა. ბოტვინიკმა აშკარა უპირატესობა მიიღო. მე-33 სვლაზე ფლორი იძულებული გახდა დაეთმო პარტია დამსწრეები ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ბოტვინიკის გამარჯვებას. ფლორმა მაესტრო როხლინს სთხოვა გადაეცა საზოგადოებისათვის, რომ ბოტვინიკმა მთელი პარტია მშვენივრად ჩაატარა. მე მოხარული ვარ, რომ საბჭოთა მოჭადრაკეები დაეუფლნენ თავისი ჩემპიონის საყურადღებო პარტიას (ადს).

ქრონიკა

ა.-კ. სახკომსაბჭოს დასასვენებელი სახლი

არქიტექტორ სევეროვის პროექტის მიხედვით ბეთანიაში შენდება ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს დასასვენებელი სახლი 50 საწოლით. მშენებლობისათვის გადადებულია 800 ათასი მანეთი. სახლი ეწყობა ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების მიხედვით. სახლში გამოყვანილი იქნება წყაროს წყალი.

დამკვრელი მუშათა ექსკურსია ფერომარგანეცის ქარხანაში

17 დეკემბერს პლეხანოვის სახელობის კლუბში აწყობს სტალინის სახელობის ორთქლმავლების სარემონტო და ბერიას სახელობის ვაგონების სარემონტო ქარხნების საუკეთესო დამკვრელთა ექსკურსიას ზესტაფონის ფერომარგანეცის და აჭარის შაქრის ქარხნებში მუშაობის სოციალისტური გამოცდილების გაცვლა-გამოცვლისათვის.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრში

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი ანახლებს შექსპირის „ოტელოს" კ. მარჯანიშვილის დადგმით და მხატვარ პ. ოცხელის ახალი მხატვრული გაფორმებით.

თათბირი პოლიტექნიკური სწავლების საკითხებზე

დღეს საღამოს 7 ს. ტფილისის [illegible] შენობაში (კამოს ქ. № 59) გაიხსნება თათბირი პოლიტექნიკური სწავლების საკითხებზე. ტფ. ყველა სკოლების გამგეების, სასწავლო ნაწილის გამგეების და შრომის ინსტრუქტორების დასწრება სავალდებულოა.

პარტკალენდარი

პარტიის რაიკომების კულტპროპგანყოფილებებს და მიმდინარე პოლიტიკის წრეების პროპაგანდისტებს

საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის კულტპროპგანყოფილება წინადადებას იძლევა, მიმდინარე პოლიტიკის წრეების მეცადინეობის მორიგ დღის 21 დეკემბერს დამუშავებული იქნას საკავშირო ცაკის და საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილება „მდარე ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ". მასალები: „პრავდა" 9 და 10 დეკემბრის — ცაკის და სახკომსაბჭოს გადაწყვეტილება და 10 დეკემბრის „იზვესტიას" მოწინავე —„[illegible] ყურადღება პროდუქციის ხარისხს — „ზარია ვოსტოკა" 10 და 11 დეკემბრის.

საქ. კ. პ. (ბ) ტფ. კომიტეტის კულტპროპგანყოფილება.

მიიღება ხელისმოწერა გაზ. „კომუნისტზე" 1934 წლისათვის
ყველა საფოსტო განყ-ბაში და „სოიუზპეჩატის" ორგანიზატორებთან. ფასი 1 თვ.—2-50 კ., 1 წლ.—30 მ.

სახ. ოპერა

16 დეკემბერს 4 აბონ. 8 წარ.	17 დეკემბერს აბონ. გარეშე პრემიერა	18 დეკემბერს 10 აბონ. 7 წარ.
სევილიელი დალაქი	ევგენი ონეგინი	1. ჯამბაზები 2. ვალპურგიის ღამე.

აბონენტები რომლებსაც გადახდილი არ ექნებათ მორიგი (მე-5) შესატანი 1 დღით ადრე თავის წარმოდგენამდე, ჰკარგავენ სპექტაკლზე დასწრების უფლებას და მათი ადგილი გაიყიდება. 1022

რუსთაველის თეატრი

1[illegible] დეკემბერს სტუდ. აბ. 8 3 წ.	17 დეკემბერს 11 აბონ. 3 წარ.	18 დეკემბერს 13 აბ. 3 წარ.
in tirannos	ზაგმუკ	ზაგმუკ

20 დეკემბრიდან მე-4 ნ/კ. გადასახადის დაფარვა სავალდებულოა. შეტანილი უნდა იქნას წარმოდგენის დღის 2 საათამდე
სალარო ღიაა 11—4, 6—9 ს. დღ. დასაწყისი 8 ს.

მარჯანიშვილის თეატრი

15 დეკემბერს 15 აბონ. 2 წარ.	16 დეკემბერს 9 აბონ. 3 წარ.	17 დეკემბერს 2 აბონ. 3 წარ.
კაკალ გულში	როგორ	შიში

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
ბილეთები თეატრის სალაროში დილის 11 ს.—2 ს. საღამოს 5 ს.—9 [illegible] აბონენტების მიერ დეკემბრის 25-მდე დაფარული უნდა იქნეს მე-4 გადასახადი

კინო თეატრები

ოქტომბერი—[illegible] 7-30, 9, 1[illegible]	სახლ. ფილმის ახალი ექსცენტრიული [illegible] მულენ რუჟ
[illegible] 6-30, 8-30, 10-30	[illegible] რაფკა ქალიშვილი პრ. [illegible] № 28
[illegible] 7-30, 9, 10-30	მხატვრული [illegible] პოეტი და მეფე პრ. გარეშე—ოქტ. 16 წლისთ. [illegible]
რ. ლიუქსემბურგის სახ. 7-30 9, 10-30	ახ. ხმ. [illegible] ორი ოკეანე პრ. გარეშე—[illegible] № 30
სპარტაკი 6-30, 8-30, 10-30	[illegible] კომედ. ქეთი შუა ზღვაში პრ. [illegible] № 7
26-ის სახელობის [illegible] 30, 8 15	ცახელოვანი ალუბლების ველი პრ. გარეშე—„[illegible]"
[illegible] 9	საკრებ. პროგრ.: 1) [illegible] 2) [illegible] 3. [illegible]
საბავშვო კინო დილის 10, 12 და [illegible]	ლენინის მისამართი
რ. ლიუქსემბურგის სახ. დილით [illegible] 12, 1-30, 3	მხატვრული ფილმი სურამის ციხე

„ცენტროლიტი"-ს საფ. საქ. სკოლაში გახსნილია მოწაფეების მიღება ქარხანა „ცენტროლიტი"-ს კადრების მოსამზადებლად

სწავლების ხანგრძლივობა განსაზღვრულია 6 თვიდან 1 წლამდე. მოწაფეები უზრუნველყოფილი იქნებიან ხელფასით. გარდა ამისა სკოლასთან არის: საერთო საცხოვრებელი, სასადილო [illegible] 3. (მომარაგება 1 ლი კატეგორიით) საპარიკმახერო, კლუბი და კინო.

პირობების დაწვრილებით გაგება შეიძლება: [illegible] 3 (ამხ. კამოს სახელობის ყოფ. საფ. საქ. სკოლა).
3—2 ბ 526 დირექცია

1933 წ. 20 დეკემბერს ქალ. ბათომში მოწვეულია დაინტერესებულ ორგანიზაციების, სუბტროპიკულ მეხილეობის სპეციალისტების და გამოცდილ კოლმეურნეთა

გაფართოებული თათბირი

ციტრუსების და დანარჩენ სუბტროპიკულ მეხილეობის კულტურების და სანერგეების აგროწესების დამუშავების შესახებ.

ვთხოვთ ყველა მოწვეულ სამეცნიერო, საგამოკვლეო, სამეურნეო და დაინტერესებულ ორგანიზაციებს და პირებს უზრუნველყონ მონაწილეობა მიიღონ აღნიშნულ თათბირში.
საკავშირო ლიმონ [illegible] კულტურათა ტრესტის დირექცია.
3—2 ბ. 572

ექიმი ბ. ნ. ონანოვი
ტფილისი. ვენერიული და კანის სნეულებანი სქესობრივი უძლურობის მკურნალობა.
ავადმყოფთა მიღება დილით 9—12 მდე და საღამოთ 5—8-მდე ([illegible] ქუჩა ყოფ. ალექსანდროვის) № [illegible] ფაბრიკა „მკერავი" პირდაპირ

ა.-წ. 15 დეკემბერს იხსნება ა. ლ. კ. კ. არსებობის 15 წლის თავის სახელობის

საბავშვო კინო-თეატრი

სკოლები ესწრებიან ორგანიზებულად აბონემენტებით მათთვის გამოყოფილ დღეებში, რაც მათ ეცნობათ უწყებებით.
დანარჩენ მსურველთათვის შესვლა ბილეთებით.
სურ. „ლენინის მისამართი".
I სეანსის დასაწყისი დილის 10 საათზე
II სეანსის დასაწყისი დილის 12 საათზე
III სეანსის დასაწყისი დღის 2 საათზე.
მისამართი:
პლეხანოვის პროსპექტი № 25, კინო-თეატრ „დამკვრელთან" ბ. 527

ტფ. მწვანე ნარგაობის ტრესტი
იძენს
ყოველგვარ ოთახის მცენარეებს:
პალმებს, ფიკუსებს, ციტრუსოვანს და სხვ.
მისამართი: ქალაქის მთავარი სანერგე, კლარა ცეტკინის ქ. № 143.
1014 მწვანე ნარგაობის ტრესტი.

ქვემოთ ჩამოთვლილი საბუთები ჩ. გ.

სამხედრო წიგნაკები: [illegible] გაცალოვის, [illegible] ფარასი [illegible], ვლადიმერ [illegible], კოლი [illegible] შვილის მახეილ [illegible] ვასო პაპიაშვილის.

კოოპ. წიგნაკები: [illegible] სტეფანოვის № 118, აკაკი ცქიტიშვილის № 1.

კავშირის წიგნაკები: მიხა შიუკაშვილის № 831106, რაისა [illegible] ჩილაძის № 512, ვლადიმერ ირჩილაძის, დ. [illegible] გელაშვილის № 001/446.

სხვა და სხვა: პირადობის მოწმობა ოლღ. ნოდიასი, კომ. კავშ. წიგნაკი კოლა კურატიშვილის, სხ. და სხ. საბუთები ალ-ოე მაჩიტაძის [illegible] № 1225 დეპინე დახელაძე ჯიქიაძე, ერატი [illegible] ამოთაწერი № 1227 პასპორტი № 240031 ნესტორ მიქაძის, პასპორტი № 176191 მარუსა წიბაძაშვილის, დახლვით [illegible] № 141, [illegible] საწ. მანდატი № 880420 ვლადიმერ სირბილაძის, პენსიის წიგნაკი და სხვა ძოწმობები [illegible] აბდუშელიშვილის ლვიხის ორდერი, ბეჭარის [illegible] ფურც., სოიოს წიგნაკი და სხ. და სხ. გადას. ქვითრები აკაკი ცქიტიშვილის. 34

დამწუხრებული ცოლი ანასტასია. შვილები მათილდა, სოფიკო, ვანიჩკა, ვალოდია. სიძე გიორგი ნიჟუა მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი სპირიდონ ივანეს-ძე ენუქიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი [illegible] ქ. 7. დაკრძალვა 18 დეკემბერს ნაშუადღევის 1 ს. ვერის სასაფლაოზე. 2—1 9

საზოგადოებრივი კვების [illegible] საქ. კომიტეტი [illegible] ამხ. ივანე [illegible] შვილის მამის ნიკოლოზ წინამძღვარიშვილის გარდაცვალებას. 99

სერგო და ვერა რატიანები შვილებით იუწყებიან ძვირფასი ბიძაშვილის ვანიჩკა პოლიკარპეს-ძე რატიანის უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება 17 დეკემბერს 4 საათზე, კოტე მესხის შესახვევი № 3, ვერის სასაფლაოზე 6

შვილები: ვლადიმერ და მოსე გვარჯალაძეები შვილებით შვილიშვილებით [illegible] იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათი ძვირფასი მართა [illegible] გვარჯალაძე. დაკრძალვა 17 დეკემბერს ლანჩხუთში. 4

ღრმად დამწუხრებული ბიძა მიხა [illegible], შვილიშვილები: მარო, შალიკო, ვახტანგი, მელანი, ოთარი [illegible] იუწყებიან საყვარელი თამარა თოზაშვილის უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება 9 იანვრის ქ. № 38 დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე 16 დეკემბერს 4 ს. 19

[illegible] თანამშრომლები [illegible] თანაგრძნობას უცხადებენ ამხ. გრიშა რატიანს მისი ძმის ვანიჩკას გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 17 დეკემბერს ვერის სასაფლაოზე. 12

უახლოესი მეგობრები: მ. იმედაშვილი, ბ. ჯაფარიძე, მ. შავგულიძე, ლ. ბერიშვილი, [illegible] ბახალბაშიანი აუწყებენ საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა ვანო პოლიკარპეს-ძე რატიანი გამოსვენება 17 დეკემბერს 4 საათზე. კოტე მესხის შესახვევი № 3 12

[illegible] იოსებ შარტავას გარდაცვალების გამო გამოსვენება 16 დეკემბერს 4 საათზე. რესპუბლიკის საავადმყოფოდან 16

რუსთაველის თეატრი [illegible] ღრმა მწუხარებით აუწყებს ჩვენი თეატრის [illegible] მუშაკის და მეგობრის ივლიანე მდივნიშვილის უდროოდ გარდაცვალებას. 20

ანიჩკა და ანდრო ხოჯოლავები შვილებით [illegible] იუწყებიან საყვარელი სიძის სპირიდონ ივანეს-ძე ენუქიძის გარდაცვალებას დაკრძალვა 18 დეკემბერს ნაშუადღევის 2 საათზე. ვერის სასაფლაოზე განოვის ქუჩა 7. 17

საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან ამავე სამმართველოს უფროსის ამხ. ლადო სუხიშვილის სიდედრის ელისაბედის გარდაცვალებას. 968

საკავშირო სააქციონერო საზოგადოება „ინტურისტი"-ს საქართველოს განყოფილება მწუხარებით აღნიშნავს ამავე დაწესებულების მმართველის მოადგილის ამხ. ერმინე ჯაკონიას მამის კინტირია ჯაკონიას გარდაცვალებას. 10

ფერსათის მე-II [illegible] სკოლის მასწავლებლობა, მოწაფეთა კომკავშირის უჯრედი და [illegible] არტელი [illegible] ყოფილ მასწავლებლის ამჟამად ახალგაზრდა აგრონომ ივანე გიორგის-ძე ახალაძის უდროოდ გარდაცვალებას. 996

მინადორა კაბუნია ზოდელავა, ზინა ფალავა და ნიჩა კაბუნია მწუხარებას გამოსთქვამენ უახლოესი მეგობრის ზინო ზოფერიას საყვარელი დედის ქსენია ლოლუა-ხვიჩიას გარდაცვალების გამო 961

სამუდამოდ დამწუხრებული ცოლი ელენე [illegible], შვილები თამარა, [illegible] იუწყებიან რომ 18 დეკემბერს 4 საათზე კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი საყვარელი ანდრო დავითის-ძე ჯორჯიკაშვილი ხსოვნის აღსანიშნავად. 21

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ევდოკია, შვილები ნატაშა [illegible] იუწყებიან, რომ 13 დეკემბერს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი კინტირია იუტიას-ძე ჯაკონია დაკრძალვა 17 დეკემბერს სოფ. [illegible] 10

საკავშირო სააქციონერო საზოგადოება „ინტურისტი"-ს საქართველოს განყოფილების ადგილკომი და თანამშრომლები იუწყებიან ა/დ მმართველის მოადგილის ამხ. ერმინე ჯაკონიას მამის კინტირია ჯაკონიას გარდაცვალებას. 10

[illegible] საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ადგილკომი [illegible] ბიურო და თანამშრომლები აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ტრესტის სპეციალისტი აგრონომი ამხ. ივანე გიორგის-ძე ახალაძე დაკრძალვა ს. ფერსათში 17 დეკემბერს 496

დამწუხრებული შვილი გიორგი, რძალი ნადია, შვილიშვილები ქეთო და ვალიკო გარაყანიძეები იუწყებიან ნათესავ-ნაცნობებს ჩვენთვის ძვირფასი მიხეილ გარაყანიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. გომში, 17 დეკემბერს. 5

[illegible] ალექსი და მარკალიტა, ძმა შალვა ძიძიგურიშვილები [illegible] იუწყებიან [illegible] ძვირფასი ივლიანე (კოკა) მდივნიშვილის უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება მიხეილის საავადმყოფოდან მილიციის ქ. № 12-ში 16 დეკემბერს 5 ს. პანაშვიდი ბინაზე 1

გულმოკლულნი: მამა გაბრიელ, დედა მატრონა, ძმები: სევერიან, კოლია, აკაკი, დები: ქსენია, ლიდია [illegible] იუწყებიან, რომ ქ. ლანჩხუთში 17 დეკემბერს 2 ს. დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი მუდამ დაუვიწყარ ივანე გაბრიელის-ძე გუჯაბიძისა

ღრმად დამწუხრებული შვილი ნინა სიძე კოლიშა გველესიანი შვილებით ეთერი, თინა, ზინა, ნათელა, ჯონდი [illegible] იუწყებიან იოსებ სერგოს-ძე შარტავას გარდაცვალებას გამოსვენება დღეს მიხეილის საავადმყოფოდან 4 საათზე 7

ბაბუა ვანო, ბებია [illegible] მარუსა და [illegible] ძმები შალიკო და [illegible] პატარა თამაზი კიკნაძის უდროოდ დაკარგვას. 985

ოლია ხვიჩია შვილებით: ბესარიონ ვახტანგ და ვალენტინათი მწუხარებით იუწყებიან მათთვის საყვარელ რძლის და ბიცოლას ქსენია ლოლუა-ხვიჩიას გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა 15 დეკემბერს ვერის სასაფლაოზე. 8

[illegible] ცოლი [illegible] შვილით ქეთო, ძმები: [illegible], რძლები: [illegible] იუწყებიან, რომ ბათომში გარდაიცვალა ნოე ცინცაძე დასაფლავება ქ. ლანჩხუთში ა. წ. 16 დეკემბერს. 993

შვილები კარლამ და ალექსი ჩიჩუები ცოლშვილით, ქალიშვილები: ოლია, [illegible] მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი დედის, სიდედრის და ბებიის ელენტი [illegible]-ჩიჩუასი გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. უფალკაში. 16

სამწუხაროდ [illegible] ცოლი კასინე, [illegible] ქალი თამარა, შვილიშვილები [illegible] და თამაზ გარაყანიძეები იუწყებიან საყვარელ მამის და ბაბუას მიხეილ გარაყანიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა გურიაში (სოფ. გომი) 17 დეკემბერს. 11

ა. კ. ინდუსტრიალური ინსტიტუტის სტუდენტთაგან უახლოესი მეგობრები: [illegible] თამაზიკოს ცხედარს. 2

სტამბა „კომუნისტი". კამოს ქ. 64.
მთავლიტის რწმუნებული ა 1527